[illegible] [illegible]

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6. ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ფასი 5000 მან.

№ 219

პარასკევი, მაისის 19

1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საკითხის გარშემო

ჩვენ შემთხვევა გვქონდა აღვენიშნა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ის დიდი ინტერესი, რომელსაც იჩენს ევროპის საზოგადოებრივი წრეები საქართველოს საკითხისადმი. იყო დრო, როდესაც ევროპის საზოგადოება სრულებით არ იცნობდა საქართველოს და თითქმის არც იცოდა მისი არსებობა, გარდა სპეციალისტ გეოგრაფებისა და პოლიტიკოს-ისტორიკოსებისა საქართველოს არსებობის საკითხიც კი არ იცოდა ევროპის საზოგადოებამ. ვისაც ჩვენს პრესისათვის თვალყური უდევნებია ამ ბოლოხნებში, მას ეცოდინება, რომ დღეს ევროპის საზოგადოებრივი წრეები დიდს ინტერესს იჩენენ საქართველოს საკითხისადმი და ევროპიელი პრესა თუ კონფერენციები, სხვა და სხვა ტიპისა და ღირებულების, ძლიერ ხშირად საქართველოს საკითხის გარშემო გაცხოველებულ კამათს მართავს. საქართველოს საკითხი ერთგვარად საერთაშორისო კითხვად იქცა და იგი საერთაშორისო კონფერენციების მსჯელობის ობიექტიც შეიქმნა. ჯერ კიდევ ბერლინში სოციალისტურ ინტერნაციონალების კონფერენციაზე აპრილის პირველ რიცხვებში ჩვენი საკითხის გარშემო მწვავე კამათი გაიმართა მეორე, ორნახევარ და მესამე ინტერნაციონალების წარმომადგენელთა შორის და არ გამოსულა თითქმის არც ერთი ორატორი სალაპარაკოდ, რომელიც არ შეხებოდეს ამ კითხვას. გენუას კონფერენციაზე პოლიტიკურ ქვეკომისიაში და კონფერენციის კულუარებშიც შეიჭრა საქართველოს საკითხი და აქაც მოპირდაპირე მხარეები ამ საკითხითაც დაუპირისპირდნენ ერთი მეორეს.

ამ გვარად საქართველოს საკითხის დემონსტრაციები ხდება ევროპის საზოგადოებრივ წრეებში და განურჩევლად მიმართულებისა, სოციალისტები და იმპერიალისტები ამ კითხვით არიან დაინტერესებულნი. ევროპის ჰორიზონტზე ჩვენი საკითხის წამოყენება და მის გარშემო კამათის გაცხოველება საინტერესო და სასარგებლოც არის, მხოლოდ ამ შემთხვევაში საჭიროა საკითხის ნათლად დაყენება და მისი სწორი ხაზით მიმართვა. დაე ევროპის საზოგადოებრივმა ელემენტებმა გახადონ ჩვენი საკითხი მათი მსჯელობის საგნად, ამით ჩვენ არაფერს დავკარგავთ; წინააღმდეგ, კულტურული საზოგადოებრივი აზროვნების ამოძრავება და დაინტერესება რომელიმე კითხვით იმის მაჩვენებელია, რომ ეს საკითხი მნიშვნელოვანი და სერიოზული არის, რომ ფართო წრეები ვერ შესძლებენ გვერდი აუარონ ისეთს საგანს, რომელმაც შესძლო თავისი შინაგანი ზრდით და წარმატებით თავისი შესაფერისი ადგილის მოპოება მსოფლიოში. ევროპის ასეთი ამოძრავება აუცილებლად გამოხატავს ჩვენს ზრდასა და წარმატებას, ჩვენ დღეს აღარა ვართ დიდი სახელმწიფოს მიყრუებული პროვინცია, რომელიც მხოლოდ ტურისტებს აინტერესებდა, არამედ დამოუკიდებელი კულტურისა და უფლების მქონე ერი, რომელიც იბრძვის თავისი მომავლისათვის და ქმნის ნოყიერს ნიადაგს თავისი სოციალურ — ღორძინებისათვის.

საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი და მისი კულტურული წარმატება აღარ არის მარტო ჩვენი მსჯელობის საგანი; მის შესახებ მნიშვნელოვანი საერთაშორისო ძალები ალაპარაკდნენ და ჩვენი მოვალეობა არის ყოველი მათგანის შეხედულება და მიზნები ამ შემთხვევაში ობიექტიურად გამოვარკვიოთ და გავიგოთ მისი ღირებულება.

რა არის იმის მთავარი მიზეზები, რომ ევროპა ასე ახმაურდა ჩვენი საკითხით და კონფერენციიდან გადადის კონფერენციაზე, ბერლინიდან—გენუაში, პრესიდან—პოლიტიკურ ორგანიზაციებში და ასე შეუჩერებლივ ხდება მისი დემონსტრაციები ფართო მაშტაბით?

რასაკვირველია, სხვა და სხვა პოლიტიკური წრეები თავიანთი მიზნების საზომით უდგებიან ამ კითხვას და სურთ იმგვარი ფორმა მისცენ მას, რომელიც სასარგებლო იქნება მათი არსებობისათვის; აქ აუცილებლად არსებობს სხვა და სხვაობა ევროპის პოლიტიკურ წრეებს შორის. მაგრამ მათ აერთებს ერთი რამ; ეს არის ბრძოლა რუსეთის რევოლიუციისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ევროპის მემარჯვენე სოციალისტებსაც და იმპერიალისტებსაც სურთ საქართველოს საკითხი გამოიყენონ რუსეთის დიდი რევოლიუციის შესაფერხებლად და მისი დიდი ღირებულების გასაქარწყლებლად. ამ მხრივ საქართველოს საკითხი მიმართული არის რევოლიუციის ძალების დასაქსაქსავად და საბჭოთა ხელისუფლების გასანადგურებლად.

მენშევიკური საქართველო მეორე ინტერნაციონალის ყაიდაზე და გეგმების მიხედვით შენდებოდა. მეორე ინტერნაციონალის წვრილ-ბურჟუაზიული პროგრამა საფუძვლად დაედვა დამოუკიდებელ საქართველოს წყობილებას და მენშევიკებმა რეალურად ხორცი შეასხეს მას, რაც ევროპის მემარჯვენე სოციალისტების პროგრამაში ეხატებოდა. ამით მენშევიკური საქართველო სავსებით დასცილდა იმ დიდ გზას, რომელიც განსაზღვრა გასავლელად რუსეთის დიდმა რევოლიუციამ და ევროპის ბურჟუაზიული წყობილების მიხედვით შეუდგა თავის სოციალური შენობის აგებას. მენშევიკურ საქართველოსა და მეორე ინტერნაციონალს შორის სრული იდეოლოგიის ნათესაობა არსებობდა და ამიტომ იყო, რომ ევროპის მემარჯვენე სოციალისტები თავიანთ არკადიას ხედავდნენ მენშევიკურ საქართველოში. საქართველოს მაშინდელი წყობილება დაუპირისპირეს საბჭოთა რუსეთის წყობილებას და მათ შორის არსებულ სხვა და სხვაობაში ხედავდნენ იმ სხვა და სხვაობას, რომელიც არსებობს ორ სოციალისტურს მოძღვრებაში მენშევიზმსა და ბოლშევიზმს შორის.

მაგრამ ისტორიამ ინება საქართველოს სულ სხვაგვარ პირობებში ჩაყენება და 1921 წლის თებერვლის ამბებმა ჩვენი ერის პოლიტიკური განვითარების გზა რადიკალურად შესცვალა. ამ ბრძოლაში მენშევიკებმა დაჰკარგეს პოლიტიკური ბატონობის საჭე და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ამით მეორე ინტერნაციონალმა დიდი შეურაცყოფა იწვნია და დღეს იგი თავისი თანაწევრების მიერ დაკარგულ საბრძანებლის დაბრუნებაზე ფიქრობს. მენშევიკებს ვერ მოუნელებიათ საქართველო მათი ბატონობის გარეშე და ყოველგვარი ძალღონით სცდილობენ აღადგინონ თავიანთი უფლებები. ამ მხრივ მათი სამოღვაწეო ასპარეზი მეორე ინტერნაციონალსა და საფრანგეთის იმპერიალისტების კაბინეთებს შორის არის გაბმული.

თითქმის ყველა ეროვნების მემარჯვენე სოციალისტები თავგამოდებით იცავენ ქართველ მენშევიკებს და გმობენ იმ გადატრიალებას, რომელმაც საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა საქართველოში. მაგრამ მათ შორის ყველაზე უფრო ენერგიულათ და თავდავიწყებით საქართველოს ინტერესების დამცველად გამოდის ბელგიის სამეფო მინისტრი ბ. ე. ვანდერველდე, რომელმაც თავისი თვალებით ნახა მენშევიკების საბრძანებელი სხვა სოციალისტებთან ერთად. ვანდერველდე მეორე ინტერნაციონალის ბელადი და სულის ჩამდგმელი არის. ის ხელმძღვანელობდა ამ უკანასკნელ ხანებში ამ ორგანიზაციას და აძლევდა მას პოლიტიკურ მოქმედების გეგმებს. კომუნისტურმა რევოლიუციამ უწინარეს ყოვლისა ამ ორგანიზაციას ჩასცა გამანადგურებელი მახვილი და გამოააშკარავა მათი ხელმძღვანელთა სრული სიკოტრე. ამიტომ გასაკვირი არ არის, თუ ვანდერველდე ასე ამხედრებული არის რუსეთის რევოლიუციის წინააღმდეგ და მთელი თავისი ენერგიით ებრძვის საბჭოთა ხელისუფლებას. მას სურს ყოველი მოვლენა და აქტი გამოიყენოს ამ მხრივ და ამით შესაფერისი ზიანი მიაყენოს იმ ორგანიზაციას, რომელმაც მისი არხი-ბურჟუაზიული პროგრამის უვარგისობა სააშკარაოზე გამოიტანა.

საქართველოს საკითხი კომინტერნისათვის ერთს აუცილებლად მტკივნეულს ადგილს წარმოადგენს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეთოდი და გარეშე ძალის, რუსეთის წითელი არმიის დახმარების გამოყენება ქართველ კომუნისტების მიერ წარმოადგენს იმ მთავარ ბრალდებას, რომლითაც გამოდიან მემარჯვენე სოციალისტები საქართველოში მომხდარ ამბების წინააღმდეგ. აქ გადამჭრელ როლს პარტიული შეურიგებლობა და შურისძიება თამაშობს.

ქართველი მენშევიკები არ ზოგავენ თავიანთ ძალას რაც შეიძლება ყალბი ინფორმაცია გაავრცელონ საქართველოს თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. ამას წინად საფრანგეთის რადიო გადმოგვცემდა ერთს ასეთს ცნობას მენშევიკების მიერ გავრცელებულს, თითქოს საქართველოს ტერიტორიაზე სისხლის მღვრელი შეტაკებანი ხდებოდეს რუსეთის წითელარმიასა და ქართველებს შორის და უკანასკნელთ დიდი გამარჯვებაც მოეპოებიათ ამ ბრძოლის დროს. ნ. ჟორდანიამ გენუას კონფერენციის ყველა დელეგატებს დაუგზავნა ნოტა თხოვნით, რომ ისინი ჩარეულიყვნენ იმ სისხლის ღვრის შესაწყვეტად, რომელიც იღვრება საქართველოში. ეს ცნობა დაუჯერებიათ კონფერენციის წევრებს, რაც იქიდან მტკიცდება, რომ იტალიის მინისტრმა შანცერმა ამის შესახებ კონფერენციას ცხრა სახელმწიფოს წარმომადგენელთა ოფიციოზურ თათბირის სახელით ჩიჩერინს გაუგზავნა წერილი, რომელშიაც სთხოვს მას მიიღოს საჭირო ზომები. მაგრამ ვინც თანამედროვე საქართველოს მდგომარეობას იცნობს, იგი დაგვეთანხმება, რომ მენშევიკები განგებ თხზავენ ყოველ გვარ ჭორებს, რომ ამით აამხედრონ ევროპის საზოგადოებრივი აზროვნება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. რასაკვირველია, ამ საშუალებებით და ასეთი მეთოდით საქართველოს საკითხის გამოტანა ევროპაში მხოლოდ რევოლიუციის მტრებისათვის არის სასარგებლო და ისინი შესაფერისად იყენებენ ამ მხრივ მენშევიკების ჭორებს. მემარჯვენე სოციალისტები და ყოველი ჯურის იმპერიალისტები ერთი მეორეს ასწრებენ მენშევიკების რადიოჭორების გამოყენებაში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რუსეთის დელეგაციამ წინადადებით მიმართა მოკავშირეებს გენუას კონფერენციაზე მოწვეული ყოფილიყო კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენელნი, რაზედაც უარყოფითი პასუხი მიიღო იმ მოსაზრებით, რომ ეს რესპუბლიკები ევროპის გარეთ იმყოფებიანო. (იაპონია, რომელიც ღებულობს მონაწილეობას კონფერენციაზე, ვგონებ ევროპის ტერიტორიაზედ არ იმყოფება), ამავე დროს საფრანგეთის წარმომადგენელი პოლიტიკურ ქვე-კომისიაში წინადადებით შედის მოწვეულ იქნეს კონფერენციაზე მენშევიკურ საქართველოს წარმომადგენელი და გვერდს უვლის საბჭოთა მთავრობის კანონიერ წარმომადგენელს.

რას ნიშნავს ყოველივე ეს? რა მიზნები ამოძრავებს საფრანგეთს, როდესაც ასეთს წინააღმდეგობაში ვარდება და სცდილობს მენშევიკებს ადგილი მისცეს გენუას კონფერენციაზე. რასაკვირველია, საფრანგეთის იმპერიალისტებს არ ამოძრავებთ რაიმე ჰუმანიური მოსაზრებანი და არ არიან დაჩაგრულ ერთა განთავისუფლებით დაინტერესებულნი. საფრანგეთის იმპერიალისტები საუკუნეთა განმავლობაში ფეხქვეშ სთელავდნენ და ტყავს აძრობდნენ აზიისა და აფრიკის ჩამორჩენილ ერებს, და დღეს, რასაკვირველია, დაჩაგრულ ერთა განთავისუფლების იდეა ვერ აამოძრავებს მას, ვინც თვით არის მჩაგვრელი და მყვლეფელი. მაგრამ საკითხი აქ სხვა სახით ისმის. ყველას გვახსოვს ის მომენტი (1918—20 წლებში), როდესაც საფრანგეთი ჯერ კიდევ „მთლიანი რუსეთის" პროგრამით გამოდიოდა და ყველაზე მეტ წინააღმდეგობას უწევდა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას. დღეს საფრანგეთმა ფრონტი იცვალა და მენშევიკურ მთავრობის დამცველად გამოდის. რაშია საქმე? საფრანგეთი შეურიგებელი პოლიტიკის მატარებელი არის საბჭოთა რუსეთის მიმართ და იგი ყოველგვარ ღონეს ხმარობს არ დაუშვას კომპრომისული მორიგება ბოლშევიკებთან. საქართველოს საკითხიც ამ მიზნით სურს მას გამოიყენოს.

გარდა ამისა, საქართველოში მენშევიკების დაბრუნება ნიშნავს არსებითად ამიერკავკასიაში დასავლეთ იმპერიალიზმის გაბატონებას, მათთვის შესაფერისი ბაზის შექმნას. ამიერკავკასია თავისი გეოგრაფიული, ეკონომიური და პოლიტიკური პირობების მიხედვით, უდიდეს ინტერესს წარმოადგენს ევროპის იმპერიალისტებისათვის. მოკავშირენი სცდილობენ მენშევიკების დაბრუნებით ეს დიდ მნიშვნელოვანი ტერიტორიალური ერთეული თავის გავლენის ქვეშ დააყენონ. აქ არის დამარხული მათი დიპლომატიური ვარჯიშობის მთავარი მიზეზი.

მაგრამ სურვილები განუხორციელებელი დარჩა და მენშევიკები ვერ ეღირსნენ გენუას კონფერენციას.

გენუამ საქართველოს საკითხი ღიად დასტოვა და არავითარი გარკვეული დასკვნა არ გამოუტანია გარდა იმისა, რომ საქართველო იმყოფება ევროპის გარეშე და მისი საკითხი უნდა გადასწყდეს ახლო აღმოსავლეთის საკითხთან. მაგრამ რომელ საკითხში შესძლო გენუამ შეთანხმება და შესაფერისი დასკვნის გამოტანა?

ამ გვარად ჩვენი კითხვა დაკავშირებული არის აღმოსავლეთის საკითხთან და მენშევიკებს ახალი სარბიელი ეძლევათ თავიანთ „მოღვაწეობის" გასაგრძელებლად.

ხ. დევიანი.

ქართული პრესა

„ფულის ტრიალის შესახებ საქართველოში".

შემდეგს სწერს ამხ. ა. სვანიძე „კომუნისტში" (№ 111). ზოგიერთის აზრით [illegible] ჩვენში ფულის ნიშნების ნაკლებობაა, მაგრამ ეს არ არის მართალი, ვინაიდან ოქროზედაც რომ ვიანგარიშოთ, დღეს მეტი ფულია ბაზარზედ, ვინემ ომამდე იყო. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ჩვენი მანეთი პატარა ღირებულებისაა და კუპიურა მცირე. ავტორი ეხება მხოლოდ მეორე მიზეზს.

„მაქსიმალური კუპიურა, რომელსაც გასავალი აქვს საქართველოში, ეს 5 ათასიანი ბონია. საბაზრო ღირებულება ამ ხუთი ათასიანი ფულის ნიშნისა უდრის დაახლოვებით 4 კაპიკს, ხოლო ოფიციალური კი 5 კაპ. რეალობით რომ მივიღოთ ოფიციალური კურსი, ჩვენ მაინც მოგვიხდება აღნიშვნა იმის, რომ მთელი ჩვენი ფულის ტრიალი უნდა წარმოებდეს ნიშნებით, რომელთა ღირებულება, თვითეულისა ცალ-ცალკე არ აღემატება 5 კაპიკს.

ეს კი დიდ დაბრკოლებას ჰქმნის, ვინაიდან ერთობ ძნელია საჭიროების დროს რამოდენიმე ათი ათასი მანეთი შეაგროვოთ თითო [illegible]. და უფრო მსხვილი კუპიურა კი ჩვენ არა გვაქვს გამოშვებული. მაშ გამოუშვათ უფრო მსხვილი ბონები, იფიქრებს კაცი.

„მაგრამ უბედურება იმაშია, რომ კუპიურების გადიდებასთან, თითქმის ყოველთვის, დაკავშირებულია ემისიის გადიდებაც, ხოლო ემისიის გადიდებას კი უთუოდ თან ახლავს ფულის თითოეულ ცალკე ერთეულის ღირებულების შემცირება".

ამიტომ ფინანსთა კომისარიატი არ მიმართავს ამ საშუალებას.

მაგრამ ფულის უფრო მსხვილი ერთეულები კი აუცილებელია ფულის ტრიალის გასაადვილებლად. ამიტომ,

„ფინანსთა კომისარიატი ფიქრობს მიმართოს ისეთ საშუალებას, მიანდოს მსხვილი კუპიურის გამოშვება არა სახელმწიფოს, არამედ სახალხო ბანკს. სახალხო ბანკი გამოუშვებს ნიშნებს ას, ხუთასი ათას, მილიონ და ხუთი მილიონის აღნიშვნით".

ამ ნიშნების მიღება ფულის მაგიერ არავისთვის არ იქნება სავალდებულო და ის იმდენად გავრცელდება და შემოვა ხმარებაში, რამდენადაც სახელმწიფო ბანკი მას ნებით მოუშვებს [illegible] წრეში და ყველა თავის განყოფილებებში სახელმწიფო ბონებზე გადახურდავებს. ამ რიგათ ყველას შეეძლება მაგ. ერთი ტომარა ბონები, ვსთქვათ, ასი მილიონი მანეთი, გადაახურდაოს სახალხო ბანკში ხუთ მილიონიან ნიშნებზედ. ოცი ხუთმილიონიანი ნიშანი კი ადვილად მოთავსდება პორტფელში და წაიღებ-წამოიღება.

ასეთი პროცედურა არ ამრავლებს არსებულ ფულების რაოდენობის რიცხვს და მაშასადამე არ სცემს მათ საცვლელ ღირებულებას, ხოლო ამავე დროს კი შეძლებას იძლევა ტექნიკურის მხრივ ადვილათ ატრიალო ძალიან დიდი თანხები, რაც შესამჩნევათ აადვილებს საქონლის გაცვლა-გამოცვლას.

გენუას კონფერენციის გარშემო

რუსეთის პრობლემა

მოელიან რუსეთის პასუხს.

ბერლინი. მაისის 17-ს მოკავშირე და ნეიტრალურ სახელმწიფოთა დელეგატები მაისის 16 ს სხდომაზე ელოდნენ რუსეთის დელეგაციის საბოლოო პასუხს, ჰააგაში რუსეთის საკითხის შესახებ ექსპერტთა კომისიის მოწვევის შესახებ.

24 საათის განმავლობაში.

გენუა. მაისის 17-ს, მაისის 16 ს დილის 10 საათ. და 30 წუთზე გაიმართა პირველი კომისიის ქვეკომიის სხდომა ფაქტას თავმჯდომარეობით. რუსეთის დელეგაციას აცნობეს ის დადგენილებანი, რომელიც მიიღეს კომისიაში წარმოდგენილ სახელმწიფოებმა გამოქვეყნებულ იქნა დოკუმენტი, რომელშიც რუსეთის დელეგაციას უნდა გამოეთქვა თავისი აზრი. ჩიჩერინმა პირველ ყოვლისა შეიტანა მთელი რიგი წინადადებისა, რომელიც ეხებოდნენ დოკუმენტში მოყვანილ ვალდებულებათ იმ მიზნით, რომ გამოერკვია მისი ნამდვილი მნიშვნელობა. შანცერმა და სხვა დელეგატებმა ამ მუხლების შესახებ გააკეთეს დამაკმაყოფილებელი განმარტება. რაც შეეხება დოკუმენტის არსებით მხარეს, ჩიჩერინმა განაცხადა, რომ რუსეთის დელეგაცია მოკლებულია საშუალებას ამავე სხდომაზე გამოსთქვას თავისი აზრი იმ დადგენილებათა შესახებ, რომელთა შემუშავებაშიც მას მონაწილეობა არ მიუღია. ამიტომ ჩიჩერინმა მოითხოვა გადაედვათ კრება ერთი დღით. ეს წინადადება მიღებულ იქნა და სხდომა გადაიდო მაისის 17-ს დილამდის.

ლლოიდ-ჯორჯის განცხადება.

ბერლინი 17 მაისი. ლლოიდ-ჯორჯმა ინგლისელ და ამერიკელ ჟურნალისტებთან ბაასის დროს განაცხადა, რომ რუსეთის პასუხი წამოყენებულ წინადადებათა შესახებ ალბათ სავსებით იქნება მიღებული.

ამერიკის პოზიცია.

ამერიკის მთავრობის პასუხი.

გენუა. 17 მაისი. შანცერმა მიიღო ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შემდეგი პასუხი, რომელიც გადაცემულ იქნა ამერიკის ელჩის ჩაილდის მიერ:

— „თქვენო აღმატებულებავ! მაქვს პატივი გაცნობოთ ამასთან შემდეგი ნოტა ჩემი მთავრობისა, რომელიც ეხება თქვენ წინადადებას მივიღოთ მონაწილეობა იმ კომისიაში, რომელიც განზრახულია მოწვეულ იქნას ჰააგაში რუსეთთან მოლაპარაკების შესახებ. ჩემმა მთავრობამ დაწვრილებით განიხილა გენუის კონფერენციის თავმჯდომარის მიერ გაგზავნილი მოწვევა იმ კომისიაში მონაწილეობის მიღების შესახებ, რომელიც უნდა შეიკრიბოს ჰააგაში 15 ივნისს, თანახმად იმ პირობებისა, რომელიც აღნიშნულია კონფერენციის მომწვევ სახელმწიფოთა შეთანხმებაში.

ჩემ მთავრობას ძალიან სურს აღმოუჩინოს დახმარება რუსეთის ეკონომიურ მოთხოვნილებათა შესწავლის საქმეს და აგრეთვე გამოსთქვამს იმ ღრმა მეგობრობის გრძნობა, რომლითაც გამსჭვალულია ჩრდილო-ამერიკის საკითხი რუსის ხალხისა და მის საარსებო ინტერესების მიმართ, რომელიც დაკმაყოფილებული უნდა იქნეს მის ეკონომიური ცხოვრების აღდგენით და იმ კეთილდღეობის შექმნით, რომლის უფლებაც მას აქვს თავის თვისებათა და რესურსების მიხედვით. ამერიკის ხალხმა უტყუარი მტკიცება მისცა იმ არა ეგოისტური ზრახვებისა, რომლითაც იგი გამსჭვალულია რუსეთის ეკონომიურ აღდგენის საქმეში. ხსენებული მთავრობა არა დროს არ გაუშვებს ხელიდან რუსეთისათვის დახმარების აღმოჩენის შემთხვევას. მაგრამ ჩემ მთავრობას არა აქვს საბუთი იფიქროს, რომ მას შეუძლია სარგებლობა მოიტანოს გაგის კომისიაში მონაწილეობით, რამდენათაც იგი გაგრძელებაა, მხოლოდ სხვა სახელით, გენუის კონფერენციისა, რადგანაც მას წინ გადაეღობება ისეთივე დაბრკოლებანი, თუ შეცვლილი არ იქნება ის პოზიცია, რომელიც რუსეთის დელეგაციამ დაიკავა 11 მაისის მემორანდუმში.

საფიქრებელია, რომ უმთავრესი საკითხი, რომლის გვერდის ახვევაც შეუძლებელია, არის რუსეთის წარმოების აღდგენა, იმ წარმოების, რომლის უმთავრესი პირობები პირველ ყოვლისა უზრუნველყოფილ უნდა იქნეს და ლოღიკის კანონით განხორციელებულ უნდა იქნეს თვით რუსეთის მიერ, ვინაიდან ჩემი მთავრობა ფიქრობს, რომ აღნიშნული პირობები სავსებით გამორკვეულია. იგი აცხადებს, რომ მზად არის ყოველთვის შეუერთდეს იმ მთავრობათ, რომელთაც წამოაყენეს ხსენებული წინადადება, რათა მიღწეულ იქნეს შეთანხმება რუსეთის ეკონომიურ მდგომარეობის ექსპერტების მიერ შესწავლისა და მისი დახმარების საშვალებათა გამორკვევის საქმეში. ამ შესწავლამ სათანადოთ უნდა გამოარკვიოს რუსეთის წარმოების აღდგენის ეკონომიური პირობები, რომლის გამორკვევის გარეშეც შეუძლებელია რუსეთისადმი ნდობის აღდგენა. აუცილებლად მიმაჩნია ამას დაუმატო ისიც, რომ ჩემს მთავრობას სურს ძალიან სერიოზულად მიიღოს ყველა წინადადებანი, რომელთაც აყენებს გენუის კონფერენცია, ან წამოაყენებს მომავალი სხვა რომელიმე კონფერენცია, მაგრამ იგი უყურებს ხსენებულ მოწვევას, რომელიც წარმოადგენს რუსეთის 11 მაისის მემორანდუმის პასუხს, როგორც ისეთ დოკუმენტს, რომელშიც არ არის სათანადო გარკვეულობა და სწორედ ეს გარემოება არ აძლევს საშვალებას ამერიკის მთავრობას მიიღოს მონაწილეობა განზრახული გეგმაში. ვსარგებლობ ამ შემთხვევით რომ განგიცხადოთ თქვენ ჩემი ღრმა პატივისცემა“. ხელს აწერს: რიჩარდ [illegible] ჩაილდ.

ბერლინი. 17 მაისი, რეიტერის სააგენტოს ცნობით, შეერთებული შტატების მთავრობა უარყოფითად ეკიდება გაგის კრებას, რასაც იგი ასაბუთებს იმით, რომ „არ სურს იქონიოს რაიმე ურთიერთობა საბჭოთა მთავრობასთან მანამდის, სანამ იგი არ იცნობს ცივილიზაციის ყველასაგან სავალდებულო კანონებს“, გაზ. „ნიუ-იორკ ჰერალდის“ ცნობით. შეერთებულ შტატებს არ სურს მონაწილეობა მიიღოს მოკავშირეთა ინტრიგებში, რომელთაც სურთ გაგის კონფერენციით დამალონ გენუის კონფერენციის მარცხი.

უნაყოფოა

ნაშენი. 17 მაისი, ამერიკელი ჟურნალისტი სიმენსი გაზ. „სენ-დეი ტაიმს“-ში სწერს, რომ ამერიკის ხალხთა და მის მთავრობას სავსებით უნაყოფოდ მიაჩნიათ ევროპის საქმეებში მონაწილეობის მიღება მანამდის, სანამ ევროპა არ მიიღებს ამერიკის იდეებს განიარაღებისა, ბიუჯეტის წონასწორობის აუცილებლობისა და საკონტრიბუციო პრეტენზიების შემოკლების შესახებ.

გენუას ხაზი მიუღებელია.

პარიზი. მაისის 17 ს ვაშინგტონიდან მიღებული ცნობების თანახმად, სენატორი იუზმა განაცხადა, რომ ამერიკის მთავრობას, მიუხედავად მისი დიდი სურვილისა—ყოველის ღონით დაეხმაროს რუსეთის აღდგენის საქმეს, მაინც არ მიაჩნია შესაძლებლად მონაწილეობა მიიღოს ამ საქმეში, თუ მომავალი მუშაობაც მიიღებს გენუის კონფერენციის სახეს, რაც ამერიკისათვის ყოვლად მიუღებელია.

რუსეთის დახმარება.

ბორდო. მაისის 17-ს ნანსენმა ერთა ლიგის საბჭოს სხდომაზე მოითხოვა ეპიდემიასთან მებრძოლი განსაკუთრებული კომისიის დაარსება და მისი რუსეთში გაგზავნა. ბალფურმა შეიტანა წინადადება იმ ცნობათა სისტემატიზაციის შესახებ, რომელიც მოდის რუსეთიდან და რუსეთის შესახებ.

პარიზი. მაისის 17-ს ერთა ლიგის საბჭომ მოისმინა რა ნანსენის მოხსენება, დაადგინა გადასცეს იგი განსახილველად გენუის კონფერენციას.

რუსეთის დელეგაციის შესახებ

რომი. იტალიის გაზეთები და მასთან ერთად ფრანგული გაზეთები დიდ ადგილს უძღვნიან ჩიჩერინის შეხვედრას იტალიის მეფე ვიქტორ ემანუილთან. საფრანგეთის წვრილ ბურჟუაზიული გაზეთი „ეხო დე პარი“ გადმოგვცემს ამის შესახებ შემდეგ დაწვრილებითი ცნობებს. მეფე ვიქტორ ემანუილი ავიდა რა დრედნოუტ „დანტე ალიგიერი“-ს ბაქანზე, რომელზედაც უნდა გამართულიყო საუზმე, ესაუბრა რამოდენიმე წუთით ლლოიდ-ჯორჯს და დიპლომატთა მწკრივის შორის გაემართა გემის ცხვირისაკენ. როდესაც მეფე მიუახლოვდა საბჭოთა დიპლომატებს, რომელნიც იდგენ დიპლომატების მწკრივის ბოლოში, ადიუტანტმა მიუთითა მეფეს მათზე. მეფე შეჩერდა. მაშინ ადიუტანტმა წარუდგინა მას ჩიჩერინი. ვიქტორ ემანუილი მიესალმა ამ უკანასკნელს ხელის ქუდზე მიდებით. ჩიჩერინმა თავი დაუკრა მეფეს. შემდეგ მეფემ მოიხადა ქუდი და ქუდ მოხდილმა გულითადად ესაუბრა საბჭოთა მინისტრს. მხოლოდ ამ ბაასის შემდეგ მეფეს წარუდგინეს საფრანგეთის, ბელგიის და სხვათა დელეგატები. შემდეგ ამისა ერთმა ადმირალთაგანმა და იტალიის ბევრმა უმაღლეს პირებმა ითხოვეს გაეცნოთ მათთვის ჩიჩერინი, რაც შესრულებულ იქმნა. შემდეგ გაზეთი იტყობინება, რომ ჩიჩერინი ბაასის დროს გულითადად ესაუბრებოდა მონსინიორ სინიორის და შემდეგ საუზმის სამახსოვროდ მათ გადასცეს ერთმანეთს თავიანთი სურათი. კრასინი საუზმის დროს, იტალიის დეპუტატებთან ბაასში მოუთხრობდა მათ იტალიის მიერ სამხრეთ რუსეთის ექსპლოატაციის შესახებ. ამავე საუზმეზე ვირტი და რატენაუ ბევრს ლაპარაკობდნენ შრომის კრიზისის შესახებ ბერლინში.

ბელგიის პირობები.

ბრიუსელი. ბელგიის ექსპერტების თათბირმა შეიმუშავა, ბელგიის მონაწილეობისათვის რუსეთის ეკონომიურ აღდგენის საკითხში შემდეგი პირობები: 1) რუსეთში [illegible] წვილო და სავაჭრო საზოგადოებათ უნდა დაუბრუნდეს მათი ქონება ან და მიიღონ სათანადო კომპენსაციები. 2) საბჭოთა მთავრობამ უნდა მისცეს გარანტია კერძო საკუთრების უფლებისა და ვაჭრობის თავისუფლებისა. 3) საერთაშორისო აქტის მოქმედება, რომლითაც ცნობილი იქნება რუსეთში უცხოელთა უფლებები, უნდა გავრცელდეს აგრეთვე იმ წარმოებაზედაც, რომელნიც ფორმალურ იურიდიულის მხრივ ეკუთვნიან რუსებს, მაგრამ რომელშიც მატერიალურად დაინტერესებულნი არიან უცხოელები. 4) სატრანსპორტო საზოგადოებანი უნდა სარგებლობდნენ რამდენათაც შესაძლებელია თავისუფლებით. მუშათა კონტროლი გაუქმებულ უნდა იქნეს. 5) საბჭოთა მთავრობამ უნდა გააუქმოს სეკვესტრისა და კონფისკაციის ზომები საკონცესიო საზოგადოებათა მიმართ მიღებული. 6) უცხოელთა საქმეები, რომელნიც გადასახლდებიან რუსეთში არ უნდა ექვემდებარებოდნენ რუსეთის სასამართლოს, არამედ შერეულ კომისიის სამსჯავროს, სადაც საქმის წარმოება უნდა ხდებოდეს ევროპის ტრიბუნალებში შემოღებულ პრინციპების მიხედვით.

კონფერენციის მომავალი ბედ იღბალი.

სანტა-მარგარიტა. 16 მაისი. პოლიტიკურმა კომისიამ, რუსების დელეგატების გარეშე მიიღო შემდეგი საბოლოო დადგენილებანი: 1. გადაუწყვეტელ საკითხების საბოლოოდ განსახილველად, რომელიც არსებობს საბჭოთა მთავრობასა და სხვა სახელმწიფოთა შორის, ეს უკანასკნელნი აარსებენ კომისიას ექსპერტებისას, რომელიც შეხვდება რუსეთის კომისიას აღჭურვილს თანასწორისავე უფლებით. 2. იმ სახელმწიფოთა და მათი დელეგატების სახელწოდება, რომელნიც მიიღებენ მონაწილეობას ამ კომისიაში, ეცნობება საბჭოთა მთავრობას. რუსეთის კომისიის წევრთა სახელწოდება უნდა ეცნობოს სხვა მთავრობებს არა უგვიანეს 20 ივნისისა. 3. კომისიის მუშაობაში ჩართული იქნება ყველა გადაუწყვეტელი საკითხები ვალების, კრედიტების და კერძო საკუთრების შესახებ. 4. კომისიის წევრები შეიკრიბებიან გააგაში 26 ივნის. საბჭოთა და სხვა სახელმწიფოთა

პოლიტიკა ირაკლი მეორისა

(გაგრძელება)

ეს ემიგრაცია საქართველოსათვის მეორე მხრითაც იყო საზიანო. ამ ემიგრაციამ რუსეთს ერთბაშად კარს მიუყენა მისდა სასამსახუროდ ბევრი აგენტი, რომელიც ძალიან კარგ დახმარებას გაუწევდა რუსეთის მთავრობას საქართველოს მდგომარეობის შესწავლაში, დაპყრობისა და დამორჩილების საკითხში, რადგან ეს აგენტურა უტყუარს ანდა სწორს ცნობით მიაწვდიდა. ეს კი საბედისწერო იყო საქართველოს მომავალი ბედის გადასაწყვეტათ, რადგან ეს აგენტები რუსეთის მთავრობას აქეზებდნენ გაბედული ნაბიჯის გადასადგმელად. ამ გახიზნულთ განუწყვეტელი მიწერ-მოწერა და დამოკიდებულება ჰქონდათ საქართველოში დარჩენილ იმ პირებთან, რომელნიც მომხრენი და ერთგულნი იყვნენ ვახტანგ მეექვსის მემკვიდრეობისა. თუ რა ერთგულნი იყვნენ ეს პირები რუსეთისა და რა მოძულენი ირაკლისა და იმის მემკვიდრეებისა, ამას ცხადათ ამტკიცებს სასტიკი და დაუნდობელი მოქმედებანი ირაკლის მემკვიდრეების წინააღმდეგ პ. ციციანოვისა, იმ ციციანოვისა, რომელიც აღზრდილი იყო გადახიზნულთა წიაღში და რომელიც მატარებელი იყო ამ გადახიზნულთა სულის კვეთებისა. გარდა ამისა, ვახტანგ მეექვსის მემკვიდრენი უზრუნველი როდი იყვნენ იმის გამო, რომ საქართველოს ტახტი დაეკარგეს და ეს ტახტი გადავიდა ბაგრატიონთა მეორე შტოზე. ამიტომ ესენი პირადათაც აქეზებდნენ რუსეთის მთავრობას საქართველოს საწინააღმდეგოთ, ირაკლის გამოსაჯავრებლათა და დასასუსტებლათ, სათათრეთშიაც კი ეძიებდნენ დახმარებას და შემწეობას, და აქით არ უსვენებდნენ ირაკლის. ასეთი პოლიტიკის მატარებელი და მწარმოებელი იყო პაატა. ვახტანგ მეექვსის ძე. ამ პაატას განათლება მიღებული ჰქონდა რუსეთსა და ინგლისში, შემდეგ სათათრეთსა და სპარსეთში ცხოვრობდა, ბოლოს კი დაბინავდა საქართველოში. ზოგიერთებმა, ვახტანგის მემკვიდრეების ერთგულებმა, მოინდომეს, ეს პაატა გამეფებინათ, ირაკლი კი ტახტიდან დაემხოთ. ამის მისაღწევათ შეთქმულობა გააჩაღეს. მაგრამ ეს შეთქმულობა დროზე იქნა აღმოჩენილი და პაატა მონაწილეებითურთ სიკვდილით დასჯილი. ამას შემდეგაც ეს მომხრეები რუსეთში აწყობდნენ შეთქმულებას ალექსანდრე ბაქარის ძისა და ალ. ამილახვრის შემწეობით. ეს პირები დაღესტანს ჩამოვიდნენ და ირაკლიზე თავდასხმას აპირობდნენ.

მაშასადამე, ირაკლი ცხადი და გარკვეული გზით მიდიოდა და ნათელ მიზნებს ისახავდა, რომელნიც რუსეთთან კავშირით უნდა განეხორციელებინა. ეს მიზანი იყო: 1) სათათრეთის მოდენისა და შემინება და დაბრუნება იმ ადგილების, რომელნიც სათათრეთს საქართველოსთვის წაეგლიჯა; 2) ლეკებისა და საზოგადოთ მთიელების თარეშის მოსპობა და ამათი დაყუჩება და დადუმება; 3) შინაური ურჩეისა და განდგომილების აღკვეთა; 4) ვახტანგ მეექვსის მემკვიდრეთა პრეტენზიების მოსპობა ტახტის ხელში ჩაგდების შესახებ; 5) ქართლ-კახეთისა და იმერეთის გაერთიანება. თუ გაერთიანება დროებით არ მოხერხდებოდა, ის კი უკვე ფაქტი იყო, რომ ირაკლის თვისი ნების აღმსრულებელი და მის მიერ მოწონებული პოლიტიკის მწარმოებელი ჰყავდა იმერეთის ტახტზე და სრული დარწმუნებული იყო, რომ შემდეგშიც ეს ვითარება არ შეიცვლებოდა; 6) მხოლოდ ამას შემდეგ ზრუნვა და ღვაწლი ცხოვრების პირობათა გასაუმჯობესებლათ; 7) ეს კი ყოველივე ასე იქნებოდა, ამას ადასტურებდა ხელ-შეკრულობის ის მუხლი, რომლის ძალით რუსეთი საქართველოს შინაურ საქმეებში ვერ ჩაერეოდა. აი, ეს იყო პროგრამა ირაკლისა. ირაკლი რუსეთთან რომ ხელშეკრულებას დებდა, მაშინ მას ფიქრათაც არ მოუვიდოდა, რომ ეს ხელ-შეკრულება საქართველოსთვის საბედისწერო იქნებოდა. ასე რომ ეფიქრა ხელშეკრულებასაც აღარ დადებდა, და, თუ მაინც დადებდა, იგი გიჟი იქნებოდა. მართლაც როგორ შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა, გარდა სრული ბეცისა და ბრიყვისა, რომ ირაკლი ხელშეკრულობას დებდა, ამ ხელ-შეკრულებას უნდა საქართველო უზრუნველ ეყო შინაურისა და გარეშე მტრებისაგან და ეს მტრები უნდა აელაგმა და დაეშინებინა,—და ამავე დროს ირაკლის უნდა ეგრძნო, რომ ამ ხელშეკრულობით საქართველოს საფრთხეს უმზადებდა. ეს ფსიხოლოგიურათ ყოვლად წარმოუდგენელი აქტია, და გულწრფელი და პატიოსანი ადამიანი ამას ვერც მიხვდება, არა თუ იგრძნობს. ასეთი ორჭოფობა ასეთი ორაზროვნება, ერთსა და იმავე დროს ორის საწინააღმდეგო მიზნის ერთი საშვალებით შესრულება და მიღწევა, შეფერება მხოლოდ გაიძვერა, ფლიდსა და ცბიერ მოღვაწეს. ამის თქმა კი ირაკლის შესახებ მტერთაც არ შეუძლიათ. პირიქით ხელშეკრულება ცხადათ ადასტურებს, რომ საქართველოს ყოველი ინტერესი დაცულია. ამ ხელ-შეკრულობით ირაკლი უარს არ ამბობდა რომ მეფობა და მართებლობის სავე საქართველოში მას და მის მემკვიდრეთ დარჩენოდათ. ამ ხელ-შეკრულობის დროს ირაკლი ძლიერი და ლაღი მბრძანებელი იყო თვის სამეფოში, დიდი პატივი და სახელი ჰქონდა მთელი საქართველოს ყველა კუთხეებში, მეზობელი ერებიც, როგორც ზევით ვნახეთ, მოკრძალებით და შიშით შესცქეროდნენ მას, ის კი არა მისაგან დახმარებასა და შემწეობასაც კი მოელოდნენ. სათათრეთიც ვერც ისე გაბედულათ შეეხებოდა მის უფლებასა და ქვეყანას, რადგან ჯერ დაუვიწყებელი არ იყო ასპინძის ომი. ასეთი კაცი, ასეთი მოღვაწე რათ ისურვებდა, რათ მოინდომებდა, რომ თვისი უფლება და თვისი ხალხის სასიცოცხლო ინტერესები რუსეთისთვის მიებოძებია? თუ კი მოსალოდნელი იყო, რომ საქართველოში ადრე თუ მალე რუსეთი ხელმწიფება უნდა დამკვიდრებულიყო, ამას რად დაეჩქარებდა ირაკლი? ამას რათ შეუწყობდა ხელს? პირიქით ეცდებოდა, რომ ეს დრო, რამდენადაც მას შეეძლო, უფრო დაეშორებინა... მაგრამ ასეთი მიკიბვ-მოკიბვა ირაკლის არც სჭირდებოდა. იგი ქართლ-კახეთში სუვერენულ უფლების მპყრობელი იყო, საქართველოს ყოველ კუთხეს იმის პატივი და მორიდება ქონდა, მეზობელი ერები და ძლიერი ხანები მას ეკრძალებოდნენ. ამ პირობებში კი რუსეთი, ძალიანაც რომ მოენდომებინა, ვერც ისე იოლათ და მალე ჩაიგდებდა ხელთ საქართველოს ხელმწიფებას. არა, ირაკლის არც შიში, არც მორიდება არ ამოქმედებდა. იმის მოქმედების დედა ღერძი იყო დაცვა სამეფოისა და მთელი საქართველოს კარგათ შეგნებულის, დიდი ხნით აწონ-დაწონილის და ამ გზით გაზომილის სასარგებლოსა და საკეთილოს, სასიცოცხლო ინტერესებისა და ამ ინტერესების მტკიცე ნიადაგზე დაბჯენა. ამას კი ყოვლივე ადასტურებდა რუსეთთან ხელ-შეკრულება. რა მხრითაც არ უნდა შეეხო ხელ-შეკრულებას, იგი ცხად ჰყოფს, რომ სუვერენობა და მეფობა საქართველოში ირაკლისა და მის მემკვიდრეთ უნდა დარჩენოდა (არტ. 3; არტ. 6 პ. 2), რუსეთი შინაურ საქმეების მოწყობასა და წარმოებაში ვერ ჩაერეოდა (არტ. 6 პ. 3) და რუსეთი ვალდებული იყო მხედრობა დაეხმარება, მიეშველებია ირაკლისთვის, რომ საქართველოს სათათრეთის მიერ წაგლეჯილი ადგილები დაებრუნებია (არტ. 2; არტ. 6. პ. 1), განსაზღვრული რაოდენობა რუსთა მხედრობისა კი საქართველოში იქნებოდა და ეს მხედრობა იქნებოდა ირაკლისა და იმის მემკვიდრეების სრულ განკარგულებაში. ბოლოს, ვერც ერთი მუხლი ამ ხელშეკრულებისა ვერ შეიცვლებოდა, თუ ეს ცვლილება მოწონებული და მიღებული იქნებოდა ორივე კონტრაგენტის მიერ და ამასთანავე ეს ცვლილება უეჭველათ სასარგებლო უნდა ყოფილიყო ორსავე კონტრაგენტისათვის (არტ. 12).

ბ) რუსეთის მიერ ხელშეკრულების დარღვევის მიზეზი

ირაკლის ამ ხელშეკრულებას ახლა სასაცილოდ იგდებენ იმიტომ, რომ რუსეთმა ხელშეკრულების პირობა არ შეასრულა, იგი ცინიკურად დაარღვია და ქაღალდის ასეთ ნაფლეთადვე გამოაცხადა ყველა პირობა და ხელშეკრულება და მასთან დაინარცხა საერთაშორისო უფლების ყოველი მუხლი. ის კიდეც შეასრულებდა ამ საწადელს, რადგან ქადილის შესაფერი ძალაც ქონდა. გერმანიის ჯარი ბელგიას შეესია, დაანგრია, დასწვა, თვით ბელგიელები კი ყმებათ წაასხა და ძალდატანებით ამუშავებდა სამხედრო მასალების დასამზადებელ ქარხნებსა და ფაბრიკებში, ლუვენი ნაცრათ აქცია, ამ ლუვენის ხელოვნების განძი, რომელიც მთელი კაცობრიობისათვის ძვირფასი იყო და რომელიც ამიტომ მთელ კაცობრიობას ეკუთვნოდა, რადგან იგი დაინტერესებული იყო ამ განძის დაცვისა და შენახვის საქმეში, დასწვა, დაბუგა. ასეთ ველურობას ჩადიოდა ვილჰელმი, იმის ჯარი და [illegible] სიმართლეს, იმის ხალხი, რადგან მთელი გერმანიის ხალხი ამ ველურობას ტაშს უკრავდა, დახმარებასა და შემწეობას ცნობიერათ აძლევდა.

დაუვიწყარია ის ცინიკური განცხადება „ფორვერტსისა“, რომელიც ლუვენის საგანძურის გაცამტვერებას იმით ამართლებდა, რომ ლუვენის მცხოვრებლები კათოლიკენი არიან. სოციალიზმის შეუგნებელი მტრებიო, ამიტომ გერმანიის სალდათმა, სოციალ-დემოკრატმა, სრული შეგნებით ნაცრათ აქცია „ლუვენის საგანძურიო და თვით ლუვენიცო, როგორც ბუდე რეაქციისა და კლერიკალიზმისაო. ვილჰელმი და იმის ხალხი ამ ცინიკურ მოქმედებას შეიბრჩენდნენ კიდეც, რომ გაემარჯვათ. მაგრამ ეს თავხედობა დასაჯა დიდი სახელმწიფოების კოალიციამ. დღეს საცოდავი და შესაბრალისია გერმანიის ხალხი, მაგრამ მან სამართლიანი სასჯელი კი მიიღო. რასაც დასთესს, მას მოიმკი. ირაკლის მოღვაწეობის დროს კი, აბა, სად იყო ასეთი კოალიცია, რომელსაც რუსეთი ასეთი ცინიკური საქციელისთვის უნდა დაესაჯა? პირიქით იმ დროს ისეთი საერთაშორისო მდგომარეობა იყო, რომ რუსეთს ხელი ქონდა გაშლილი ცინიზმისა და უსაქციელობისთვის. ამ დროს ავსტრიის იმპერატორი, რომელიც ერთად ერთი ძლიერი მეტოქე იყო რუსეთისა, ჩართული იყო საფრანგეთის რევოლიუციასთან ბრძოლაში და ემიგრანტებს უჭერდა მხარს. ინგლისიც ამ ომით იყო გართული. რუსეთმა ამ საერთაშორისო მდგომარეობით ისარგებლა და კავკასიის ქედი უსისხლოთა და უნამუსოთ გადმოლახა. ამ მოქმედებით საქართველო დაიპყრო და სათათრეთი კი ყელში გასტება. ამ ცინიკური საქციელისთვის რუსეთი იმ ჟამათ პასუხს ვერ აგებდა, რადგან არ იყო ძალა, რომელსაც ეს პასუხი უნდა მოეთხოვა. შემდეგ კი, როცა ასეთი ძალა გამოირკვა და აქაური საქმეებით დაინტერესდა, ამ ძალამ რუსეთის დიდი მუშტი არაქსის ხეობაზე შეაჩერა და აქ გააშეშა. ის, რაც ვერ შეიძლო გადმოუვლელმა ქედმა კავკასიონისამ, შესძლო პატარა არაქსმა, რადგან ამ არაქსს ძალა საერთაშორისო უფლებისა მიეშველა. ჩვენებური, იმ დროის პოლიტიკური უსუსურები კი ირაკლის უსუსურობას სწამებენ მხოლოდ იმიტომ, რატომაც ის სასარგებლოთ ვერ შესცვალა მთელი მაშინდელი პოლიტიკური კონიუნქტურა. მაგრამ ეს ხომ ბავშვის [illegible] და ჭირვეულობა, მეტი არაფერი. ამ ცინიზმისთვის და იმ უნამუსო მოქმედებისათვის, რომელსაც რუსეთის მთავრობა

მთავრობები მოვალენი არიან არ მოახდინონ ურთიერთი თავდასხმა, შესწყვიტონ საზიანო პროპაგანდა, დაიცვან პოლიტიკური სტატუსქვო, უარი სთქვან ერთი სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩარევაზე, სხვა სახელმწიფოთა პოლიტიკურ ორგანიზაციების ფინანსიურ და ამგვარ დახმარებაზე, ამ დადგენილებით ხელს გადასცემენ რუსეთის დელეგაციას. მოკავშირენი საიდუმლოთ ინახავენ იმ მუხლს, რომელიც ეხება რუსეთთან სეპარატიულ ხელშეკრულების დადების საკითხს. მაგრამ ეს არ არის საიდუმლოება. ევროპამ წამოაყენა ევროპის ბურჟუაზია, რათა საერთო ძალდონით, მუქარითა და ძალდატანებით აიძულოს საბჭოთა ხელისუფლება დათმობაზე წავიდეს. მოგვითხრობენ, რომ შანცერი და ლოიდ ჯორჯი დღეს კვლავ დაემუქრნენ ჩიჩერინს საერთო ბოიკოტით, თუ რუსეთი უარს იტყვის მიიღოს კომისიის წინადადებანი და მასთან მიუთითებს მას იმ პერსპექტივებზე, რომელიც მოსალოდნელია ამერიკის მონაწილეობით.

გენუაში მყოფი ყველა დელეგაციები ემზადებიან წასასვლელად.

გაზეთ „დეილი გერალდს“ პოლიტიკური კომისიის უკანასკნელი გადაწყვეტილება მიაჩნია ამერიკის ჩარევის შედეგათ. ამერიკა ჩაერია კონფერენციის მუშაობაში, საბჭოთა რუსეთისადმი მტრული განწყობილებით და დასთანხმდა მონაწილეობა მიეღო ექსპერტების კომისიის მუშაობაში იმ პირობით, თუ იქ არ იქნებოდნენ დაშვებულნი რუსეთის წარმომადგენლები და არ დაიდებოდა რუსეთთან სეპარატიული ხელშეკრულებანი.

უცხოეთი

გერმანიის დახმარება

პარიზი. გაზეთ „ტანის“ ცნობით, ბერლინში გაიმართა კრება დამშეულთა დახმარების შესახებ. სიტყვა წარმოსთქვა გერმანიის წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარე გრიუნვიზენმა, რომელმაც შემდეგი განაცხადა: „მთელ გერმანიის ხალხს, გამოუკლებლივ, შეგნებული აქვს აუცილებლობა რუსეთის ხალხისათვის დახმარების აღმოჩენისა. მე დარწმუნებით შემიძლია განვაცხადო, რომ გერმანია გააკეთებს ყოველივეს; რაც კი მასზეა დამოკიდებული. რომ დაეხმაროს დამშეულ რუსეთს და რომ საქმით დაუმტკიცოს მას იმ ძმური სიყვარულისა და სოლიდარობის გრძნობები, რომელნიც აკავშირებენ გერმანიასა და რუსეთს“.

გერმანია და ანტანტა

ნაუენი, 17 მაისი. გერმანიის ფინანსთა მინისტრი გერმესი მიემგზავრება პარიზში გერმანიის მომავალ გადახდათა ვალების შესახებ მოსალაპარაკებლად. ბერლინის პრესა აღნიშნავს, რომ გერმანიის უკანასკნელი ნოტა, საკონტრიბუციო კომისიის სახელზე გაგზავნილი, არის შედეგი პოლიტიკურ პარტიათა შეთანხმებისა. დემოკრატიული და სოციალ-დემოკრატიული გაზეთები იწონებენ ნოტას, როგორც დამამტკიცებელ ახალ საბუთს იმისას, რომ გერმანია მზად არის ასასრულოს ყველა თავისი ვალდებულებანი.

ბერლინი. 17 მაისი. გაზეთ „დოიჩე ალგემაინე-ცეიტუნგი“-ს აზრით საკონტრიბუციო პრობლემის გადაწყვეტა დამოკიდებულია გენუაში შექმნილ საერთო პოლიტიკურ მდგომარეობაზე და გერმანიის საგარეო სესხის ნაყოფიერებაზე. გაზეთ „ფოსიშე ცეიტუნგი“-ს აზრით, უკანასკნელი მოლაპარაკების დროს პარიზში, საფრანგეთის ნაციონალისტების მოთხოვნილებამ ადვილი უნდა დაუთმოს ეკონომიურ საღ მოსაზრებებს.

ბორდო. 17 მაისი. საფრანგეთის სენატის საგარეო კომისია აღნიშნავს რომ გერმანიის უკანასკნელი ნოტის შემდეგ, 31 მაისის შემდეგ არ უნდა მოველოდეთ რაიმე განსაკუთრებულ გართულებათ საფრანგეთ-გერმანიის დამოკიდებულებაში აღნიშნავენ გერმანიის უკანასკნელ ნოტაში კონკრეტიულ წინადადებათა მოუთავსებლობას, მაგრამ ეს ნაკლი შევსებული იქნება იმ დროს, როდესაც პარიზში ჩამოვა გერმანიის ფინანსთა მინისტრი.

ნაუენი. 17 მაისი. გაზეთი „მატენი“ ეხება გერმანიის ფინანსთა მინისტრის გერმესის მოხსენებას, რომელიც მან გააკეთა საკონტრიბუციო კომისიაში. მოხსენება დამაკმაყოფილებლად არის მიჩნეული. კომისიის ბრიტანელ და ბელგიელ წევრებს შესაძლებლად მიაჩნიათ გერმანიასთან შეთანხმება. საკონტრიბუციო კომისია შეუდგა გერმანიისათვის საერთაშორისო და დალევითი საგარეო სესხის მიცემის საკითხის განხილვას.

ევროპის აღდგენის შესახებ.

ბერლინი 17 მაისი. შვეციის მთავრობას შეაქვს პარლამენტში კანონ პროექტი, რომლითაც გადებულ უნდა იქნეს 9 მილიონი კრონი, რომელიც შეადგენს შვეციის წვლილს ევროპის აღდგენის საერთაშორისო კაპიტალისას.

ფრანგები შეშფოთებულნი არიან.

ბერლინი 17 მაისი. მოსკოვიდან ბერლინში დაბრუნებული რუსეთის სავაჭრო მისია იტყობინება: საბჭოთა მთავრობას განზრახვა აქვს მოლაპარაკება დაიწყოს გერმანიასთან სასოფლო-სამეურნეო იარაღების მოწოდების შესახებ. ამ ცნობამ შეაშფოთა ფრანგები, რომელნიც მზად არიან წარუდგინონ რუსეთს ძლიერ ხელსაყრელი პირობები ამ იარაღების მოწოდების საქმეში ხანგრძლივი კრედიტებით.

ახალი ამბები

— **ქალაქის სასურსათო გადასახადი.** შარშანდლიდან ზოგიერთს ქალაქის ბაღებს არ გადაუხდია ნ წილი სასურსათო გადასახადისა. იმ მიზნით, რომ გამორკვეული იქნას თითოეული ასეთი დავალიანებულის გადახდის შესაძლებლობა, ქალაქის კომუნალურმა მეურნეობამ წინადადება მისცა თითეული რაიონის ბაღის მეპატრონეს, (ნავთლუღი, ორთაჭალა, კრწანისი, ვერა და დიდუბე) აირჩიონ საერთო კრებაზე სამი წარმომადგენელი, რომელნიც მიწის განყოფილების წარმომადგენელთან ერთად კონკრეტიულად გამოარკვევენ თითოეული დავალიანებულის გადახდის საშუალებას. ამასთან გადასახადის შემცირება დამოკიდებული იქნება მიწის განყოფილების და რაიონულ მებაღეების კომისიაზე. ფასები სასურსათო გადასახადის ღირებულებისა აღებულია თანახმად შარშანდელ ქალაქის ფინანსიურ კომისიის დადგენილებისა. შეუტანელი სასურსათო გადასახადი შემოტანილ უნდა იქმნას მიმდინარე თვის განმავლობაში, რაც შეეხება მიმდინარე წლისა სასურსათო გადასახადს იმ დეკრეტის ძალით, რომელითაც განისაზღვრება სასურსათო გადასახადით ე. ი. დათესილი მინდვრის რაოდენობით და არა თვით ნათესით მიწის განყოფილების აგენტები ამ [illegible] რაიონების ბაღის მეპატრონეების წარმომადგენლებთან ერთად ახდენენ დათესილ ბაღისა და ბოსტნისა მოედნების გაზომვას. ამ მუშაობის დასრულების შემდეგ ყველა რაიონის წარმომადგენელი (3) მიწის წარმომადგენლების მონაწილეობით შეუდგებიან სასურსათო გადასახადის რაოდენობის განსაზღვრას.

— **ქალაქის ბაღები.** გადაწყვეტილია გაიცეს იჯარით ქალაქის ბაღები, სადაც მოწყობილი იქნება ყავახანები და სხვ., ამასთან მცხოვრებლებს უფლება არ ერთმევათ ბაღში თავისუფლად და უფასოდ შესვლისა და სკამებით სარგებლობისა. მოიჯარადრე ვალდებულია თვალყური ადევნოს ბაღის ნამყენების დაცვას.

— **ხელოვნური გამოფენა.** კვირას 21 მაისს 10 ს. დილით სახელმწიფოს პატარა თეატრის შენობაში (პოლიტექნიკური ინსტიტუტის დარბაზში) იხსნება ხელოვნური გამოფენა მხატვარი ქალი ვ. ნ. ლებედევის ნაწარმოებს სურათებისა. გამოფენა ფრიად საინტერესო იქნება, ვინაიდან ამხ. ლებედევა ნიჭიერი მხატვარია და მისი მინიატურები წარმოადგენენ ხელოვნების შედეგებს.

— **მცირე წლოვანი ქურდები.** ანასტასიის ქუჩაზე № 14-ში მცხოვრებ ინჟინერ ანდრეიანოვს მოპარეს 60 მილიონის მან. ღირებული სხვა და სხვა საოჯახო ნივთები სისხლის სამართლის აგენტების მიერ მოპარული ნივთები აღმოჩენილი იქმნა და დაჭერილი მცირე წლოვანი ლიდია გამრეკელიძე, რომელიც ქურდობაში გამოტყდა. მე-11 რაიონის მილიციის მოსამსახურეთაგან ეჭვის მიტანით, თავისუფლების ქუჩაზე № 38 ბესო არჯევანიძის ბინის გაქურდვისა გამო დაჭერილი იქმნა მცირე წლოვანი ვახტანგ გელაშვილი, რომელმაც ქურდობაში გამოტყდა და განაცხადა, რომ მოპარულ ნივთებს ის ყიდდა დეზერტირის ბაზარზე. სისხლის სამართლის აგენტების მიერ დაჭერილ იქმნა დეზერტირის ბაზარზე მოვაჭრე გევურკოვი, რომელმაც გელაშვილიდან იყიდა ბეჭედი 120,000 მანეთად. ბეჭედი გევურქოვს ჩამოერთვა და გადაეცა პატრონს.

სამხატვრო ქრონიკა

საღამო მბეჭდავ უმუშევართათვის

მაისის 27 საქარ. წითელ არმიელთა კლუბში (ყოფილი ქარ. კლუბი) ბეჭდვითი საქმის პროფესიონალურ კავშირის უმუშევრად დარჩენილ მბეჭდავ მუშების სასარგებლოდ, კავშირის ხელმძღვანელობით გაიმართება საღამო—წარმოდგენებით. საღამო იქნება ინტერნაციონალურ ხასიათისა: ქართულ, რუსულ და სომხურ ენაზე წარმოდგენის შემდეგ შესდგება საკონცერტო განყოფილება ბალეტით. ბილეთები გაიყიდება მხოლოდ მბეჭდავთა პროფკავშირის ბინაზე (მუშათა სასახლე, მესამე სართული, ოთახი № 33).

მოწოდება

თანახმად საქ. სოც. საბჭ. რევოლ. კომიტეტის ა. წ. 4 მარტის დადგენილებისა, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ცნობილია, როგორც ავტონომიური და იურიდიულ უფლებათა მქონე დაწესებულება, რომელიც მოქმედებს 1863 წლის ჟენევის კონფერენციის თანახმად.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების უახლოეს დანიშნულებას შეადგენს ომიანობის და ყოველგვარ სახალხო უბედურების დროს ხელი შეუწყოს მთავრობის სამკურნალო-სასანიტარო ორგანოებს, დაჭრილ და ავადმყოფ მეომართა, სამხედრო ტყვეთა და რაიმე უბედურებისაგან დაზარალებულ მცხოვრებთა, დახმარების საქმეში.

დასახულ მიზნის განსახორციელებლად საჭიროა უმთავრესად წითელი ჯვრის საზოგადოების წევრთა გამრავლება. ამის გამო მოუწოდებთ ყველა მშრომელ ხალხს, პროლეტარულ ორგანიზაციებს, კავშირებს, დაწესებულებებს და ყველას, ვინც კი თანაუგრძნობს წითელი ჯვრის დანიშნულებას, ჩაეწერნენ საზოგადოების წევრებად.

საწევრო გადასახადი დაწესებულია 10,000 მან.; საზოგადოების წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1-ლ საათამდე, გარდა კვირა უქმე დღისა, წითელი ჯვრის კანცელარიაში, თაიროვის შესახვევი № 3.

ჯანმთელობის სახალხო კომისარი
გ. კუჭაძე.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარე ა. ქუთათელაძე

რას ნიშნავს ეს?

კარგი ხანია მას შემდეგ, რაც ტფილისის სამაზრო სტატისტიკურ ბიუროში ქართულ ენაზე მიწერ-მოწერამ დაუთმო ადგილი რუსულ ენას ახალ დანიშნულ გამგის წყალობით.

ეჭვს გარეშეა, რომ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველომ დაუშვა შეცდომა, როდესაც ქართულ ენის არა მცოდნე დანიშნა ისეთ ადგილზე, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს პერიფერიებთან, სადაც უმთავრესად ქართული ენა არის ხმარებაში.

საილუსტრაციოდ მოგვყავს ასეთი შემთხვევა: მაზრაში მომუშავე მოხალისე კორესპონდენტი, რომელიც მეტს სამსახურს უწევს ბიუროს ცნობების მიწოდებით, ადმინისტრაცია, (რომლის მოქმედებასა და შიშს არ შეიძლება გავლენა არ ჰქონდეს მცხოვრებლებზე),—ეს მოხალისე კორესპონდენტი, სომეხი ეროვნებით, ჩამოდის ტფილისში—ბიუროში და უცხადებს გამგეს, რომ მას შეუძლია დააკმაყოფილოს ბიუროს მხოლოდ ის მოთხოვნილება, რომელიც ქართულ ენაზე იქნება დაწერილი.

სტატისტიკურ ბიუროს არ მოდის ცნობები ყველა მოხალისე კორესპონდენტებიდან, ვინაიდან მათთან მიწერ-მოწერა მეტწილად რუსულ ენაზე სწარმოებს.

თუ რამდენად ბრკოლდება საქმე ქართულ ენის არ ცოდნის გამო, სჩანს შემდეგ შემთხვევიდან:

ბიურომ მიმართა რუსულ ენაზე ერთ ერთ მაზრის აღმასკომის განყოფილებას მიეწოდებინა საჭირო ცნობები. ვინაიდან პასუხს ძლიერ დააგვიანდა ბიურომ მეორეჯერ მიმართა (რუსულ ენაზე), რაზედაც მიიღო პასუხი, რომ განყოფილება არა ქართულ ენაზე დაწერილ მიმართვას უყურადღებოდ სტოვებსო. ბიურომ აღმასკომსაც მიმართა, მაგრამ უკანასკნელმა მთავრობის დეკრეტს მიუთითა. ამნაირად, ცნობის მიღებას განყოფილებიდან ძალიან დიდი ხანი დააგვიანდა. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოდან ბიუროს წინადადებაც კი მიუვიდა საქმეები და მიწერ-მოწერა აწარმოოს მხოლოდ ქართულ ენაზე და გამონაკლისიც არ დაუშვას.

თუ რამდენად უწევს ანგარიშს ბიუროს გამგე მთავრობის დეკრეტს ან ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს წინადადებას—ეს ნათლად სჩანს ზემო მოყვანილ ცნობებიდან.

რას ნიშნავს ეს? ასეთი მდგომარეობა არასოდეს არ მოგვცემს სახელმწიფოსათვის დადებით შედეგების მინიმუმსაც-კი, განსაკუთრებით შტატების შემცირების შემდეგ, რადგან თანამშრომელთ წმინდა სტატისტიკურ მუშაობის მაგიერ უხდებათ შემოსულ და გასულ ქაღალდების თარგმნა ქართულიდან რუსულ ენაზე და წინააღმდეგ.

გარდა იმისა, რომ დღევანდელ ქაღალდის კრიზისის დროს, შექმნილ მდგომარეობის გამო იხარჯება ზედმეტი ქაღალდ, თარგმნას მიაქვს დიდი დრო... ნაყოფიერებაც ნაკლებია.

მიაქცევს თუ არა ამას სათანადო ყურადღებას დაინტერესებული დაწესებულებანი?

როდემდის გაგრძელდება ეს ანორმალობა?

ნ. მა—ლი.

ხმა რაჭიდან

ზაქარია ჭიჭინაძეს

დიდად პატივცემულ, საყვარელ ზაქარიას ვულოცავთ მის 50 წლის თავდადებულ სამსახურს, ვულოცავთ ქართველ ერსაც, რომ ზაქარია ჯერ კიდევ მხნეთ არის და ფხიზელ დარაჯად უდგას ნაწამებ სამშობლოს.

ვინ არის ზაქარია, როგორ გვესმის ჩვენ მისი ღვაწლი?

იმ შავ-ბნელ დროს, როცა საქართველოს ერმა დაჰკარგა თვითმყოფობა მთელი დედა მიწის ზურგიდან, სხვა და სხვა კაცეჭამია დიპლომატები დაგვესივნენ, იმათ ხელის იარაღათ ჰქონდათ, ზოგს მრავალი ფული, ზოგს პოლიტიკური ძლევამოსილება, ზოგსაც სიცრუე და ჭორები, ქართველი ერის შვილებისათვის ეხარბებოდათ შავი თვალებიც კი, ემეტებოდათ მხოლოდ, სახის დამახინჯებული ცხვირები. (მოიგონეთ ილია ჭავჭავაძის წერილები) ასეთ დროში საჭირო იყო დიდი ცოდნა და გამოცდილება, რომ მეჭორეთ ლაგამი ამოსდებოდათ ან სწორეთ ასეთ დროს, საქართველოს მტერთა მოსევისაგან გაბრაზებული ზაქარია „სარდაფში“ ეშვება იქ ეძებს ძველ ტეტრადებს, ხელთ ნაწერებს, ნათარგმს და ნათხზს, ნაპოვნს, გამოკვლეულს სულის სიმშვიდით და სიმტკიცით აქვეყნებს. ასეთი საშუალებით ზაქარია ამარცხებს სამშობლოს მტრებს და ცხადათ და დასანახავთ ხდის ყოველივე იმას, რაც წარსულში ჩვენს სიამაყეს შეადგენდა. ჩვენ არ გავაგრძელებთ წერილს და მოკლეთ ვიტყვით, რომ ზაქარია ჭიჭინაძე 50 წელიწადი სამშობლოს ფრონტზე ფხიზელ დარაჯათ ხდგას, მან მრავალი თავ დასხმა მოიგერია და ხშირათ შეტევაზედაც გადასულა ხოლმე. მაშ გაუმარჯოს ჩვენი მწიგნობრობის უებრო მოჭირნახულე სარდალს ზაქარიას, რომ მისი მხნეობით ქართველთ მეობა უფრო მისაზიდავი გამხდარიყოს.

ვანო ჭიჭინაძე.
მინა ჯაფარიძე.

აწარმოებდა მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში პატარა ერებისა და თვისი ერის საუკეთესო შვილთა წინააღმდეგ, რუსეთმა მაშინ პასუხი არ აგო. სამაგიეროთ მან დღეს აგო ეს პასუხი და ეს მთავრობა მთელი თვისი საშინელებით დღეს დაიმსხვრა, მოისპო და გაცამტვერდა.

არ შემიძლია აქ არ მოვიტანო ძვირფასი კიტას ის სიტყვები, რომელნიც მან წინასწარმეტყველური გამჭრიახობით პ. მილიუკოვს უთხრა 1912 წ. ქ. ტფილისში, ქართულ კლუბის დარბაზში სადილზე. პ. მილიუკოვი იმ ხანათ ტფილისს ჩამოვიდა, ლექცია წაიკითხა სახელმწიფოებრიობაზე და მეორე ერთა უფლებაზე. ამ ლექციაში კრინტიც არ დასძრა მცირე ერთა უფლებაზე. მსმენელთ ეს გვეწყინა. მაგრამ მეორე დღეს ტფილისის ინტელიგენციამ პ. მილიუკოვი სადილზე მიიპატიჟა ქართულ კლუბში იმ იმედით, რომ პ. მილიუკოვი კერძო სადილზე გულ-ახდილად გვეტყოდა იმას, რის თქმაც მან ლექციაში ვერ გაბედა. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, არ იქნა და ვერ წავაცდენიეთ ერთი კრინტი ავტონომიის შესახებ. მან სთქვა: ჩვენს პარტიას მთავრობა და მოწინააღმდეგე პარტიები მოღალატეთ სთვლის მხოლოდ იმიტომ რომ ჩვენმა პარტიამ პოლონეთის ავტონომია აღიარაო, ახლა როგორ გნებავთ, რომ ჩვენმა პარტიამ ამ პირობებში მიიღოს სხვა მცირე ერების ავტონომია და უფლებაო? ამ განცხადებით აშკარა შეიქნა, რომ პ. მილიუკოვი და იმის პარტია, სოციალ-დემოკრატია და სოც. რევოლუციონერთა პარტიაც პოლიტიკურ აზროვნებაში ვერ ასულიყვნენ იმ სიმაღლემდი, რა სიმაღლეზეც იდგა ნიკიტა მურავიოვი, დეკაბრისტი, რომელიც აღიარებდა, რომ რუსეთი უნდა შემდგარიყო თექვსმეტი „დერჟავიდან“ ე. ი. თექვსმეტ სხვა და სხვა ერთეულებიდან, რომელნიც, ახლანდელი ტერმინოლოგიით რომ გამოვსთქვათ, უდრიდენ პოლიტიკურ ავტონომიებს. ასეთ „დერჟავათ“ საქართველოც იყო ნაგულისხმევი და აღიარებული. რუსეთის ინტელიგენციის პოლიტიკური აზროვნება გაყინული იყო პესტელის შეხედულებაზე, იმ პესტელისა, რომელიც ნიკიტა მურავიოვის პროექტს უარჰყოფდა, შეურიგებელი მტერი იყო რუსეთის „დერჟავებათ“ დაყოფისა და თავ-გამოდებული დამცველი იმ აზრისა, რომ რუსეთში შესული მცირე ეროვნებანი რუსეთს უნდა სრულებით შედუღებოდენ. პესტელი აღნიშნავდა, რომ დიდ სახელმწიფოში შესულ მცირე ერებს ყოველთვის სურვილი აქვთ, დამოუკიდებლობა მიიღონ და საკუთარი პოლიტიკური არსებობა ჩამოაყალიბონ. ეს არის აშკარა ფაქტი და ამას იგი უწოდებდა „ეროვნების უფლებას“ (право народности) მაგრამ ამასთანავე პესტელი აღნიშნავდა, რომ დიდი სახელმწიფოს უმთავრესი ეროვნება ცდილობს, რომ ამ სახელმწიფოში შესული მცირე ეროვნებანი ხელს უწყობდენ გაძლიერებას, და ძლევა-მოსილებას ამ სახელმწიფოისას და არა მეზობელი სახელმწიფოისასო. ამას პესტელი უწოდებს „უფლებას კეთილ-მოწყობისას“ (право благоудобства). ამ ორ უფლებაზე დაბჯენილი პესტელი ხელიდან არ უშვებს შემოერთებულ მცირე ერებს, რადგან ესენი დამოუკიდებლობას ვერ შეინარჩუნებენო, სხვა სახელმწიფოს კერძო გახდებიანო, ამით კი რუსეთს დაასუსტებენ და მეზობელ სახელმწიფოს, რუსეთთან მტრულად განწყობილს, გააძლიერებენო. ამიტომ ამ მცირე ერებს ურჩევნიათ, ამათთვის ბევრად უმჯობესია, უმთავრეს ეროვნებას შეედუღონ. ამ ეროვნებაში დაითქვიფნენ და ამნაირათ ერთი დიდი ეროვნება შეადგინონო. ამ მოსაზრებით აღჭურვილი იგი აცხადებს, რომ დამოუკიდებლობის უფლება არ უნდა მიენიჭოს არც ერთ მცირე ეროვნებას, რუსეთში შესულს. ასეთებია; ფინლანდია, ოსტზეის მხარე, უკრაინა, ბესარაბია, საქართველო და სხ. რაც შეეხება პოლონეთს, ამის შესახებ პესტელი იმ აზრისაა, რომ პოლონეთს შეუძლია დამოუკიდებლად იცხოვროსო. მაგრამაო—დასძენს პესტელი—პოლონეთის რუსეთიდან გამოყოფა და გამოთიშვა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელიო, როცა თვით რუსეთი „ახალცხოვრებას“ მიიღებსო, ე. ი. როცა რუსეთი დესპოტიზმისაგან განთავისუფლდება. მხოლოდ მაშინ ეს რუსეთი მისცემს პოლონეთს დამოუკიდებულებასო. მე განგებ ასე ვრცლად მოვიყვანე პესტელის აზრი, რადგან ამ მოსაზრებათა ხაზს არც ერთი წერტილით არ გადასცდენია მთელი მეცხრამეტე საუკუნის რუსეთის ინტელიგენციის პოლიტიკური აზროვნება. ამაზედ გაიყინა იგი აზროვნება. ამ აზროვნების მიმდევართ სასაცილოთ არ ყოფნიდა დეკაბრისტის მ. თ. ორლოვის შეხედულება, რომელიც იწუნებდა ერმოლოვის კავკასიის ერთა დასათრგუნავად ცეცხლითა და მახვილით წარმოებულ პოლიტიკას და ამბობდა: „ჩეჩნებისა და კავკასიის სხვა ერების დამონავება წარმოადგენს ისეთსავე სიძნელეს, როგორათაც ძნელია, რომ კავკასიის ქედი ვინმემ გაავაკოს და გაასწოროსო“. აი პ. მილიუკოვის ასეთი უკმეხი ქედიანობის საპასუხოთ კიტამ მილიუკოვს უთხრა: „რუსეთი უეჭველათ პასუხს აგებს ისტორიის ნემეზიდის წინაშე იმ უნამუსო უსამართლობისათვის, რომელიც რუსეთმა საქართველოს წინაშე ჩაიდინაო“. ამ განცხადებამ პ. მილიუკოვი არც შეაკრთო, არც მოდრიკა. მაგრამ დღეს ყველა ჩვენთაგანი ხედავს, რომ ამ ნემეზიდამ შური იძია და მან არა თუ გაანიავა ამ ცინიკური საქციელის ჩამდენი რუსეთის მთავრობა, არამედ მან პასუხიც კი აგებია მთელი რუსეთის ხალხსა და ინტელიგენციას. რეგვენსა და ავყიას მხოლოდ მკაცრი მარცხი მოიყვანს გონს.

ი. ფანცხავა.

(შემდეგი იქნება).

№ 10 ახალგაზრდათა ხმა № 10

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი ახალგაზრდობა

2.

წინა წერილში საუბარი გვქონდა ქართველი ახალგაზრდობის იმ ჯგუფის შესახებ, რომელმაც თავის პოლიტიკურ მრწამსად [illegible] ბურჟუაზიული იდეოლოგია აღიარა.

დღეს მინდა ჩვენს ამხანაგებს ვესაუბრო იმ ნაწილზე ქართველი ახალგაზრდობისა, რომელიც დაადგა ოპორტუნისტულ მარქსიზმის გზას და მენშევიკურ პარტიაში ეწეოდა პოლიტიკურ მუშაობას. მაგრამ როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, ჩვენი ახალგაზრდობა გათქვეფილი იყო ამა თუ იმ პარტიაში, რომლის მთავარი გეზიც მომართული იყო თანხმად პარტიისა; რის გამო ყოველი შეცდომა და ნაკლი პარტიისა გადმოდიოდა ახალგაზრდათა ორგანიზაციებზედაც. ამისათვის, როდესაც ჩვენ დღეს რამე ვსთქვათ მენშევიკურ ახალგაზრდობაზე,—იძულებული ვართ ვილაპარაკოთ მენშევიკურ პარტიაზე, რაც დამახასიათებელი იქნება მათ ახალგაზრდათა ორგანიზაციისათვისაც.

მენშევიკთა პარტია ჩვენში ეროვნული პრობლემის უარყოფით გამოვიდა. ისინი ჩვენ ქვეყანას კოსმოპოლიტიურ ქურქში გახვეულნი მოევლინენ, რომელნიც არამც თუ ეროვნული საკითხის რადიკალური გადაჭრის, არამედ უბრალო ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიაშიაც ფეოდალურ წყობილებას ხედავდნენ. ამის მოწმეა მთელი ქართული პუბლიცისტიკა ამ ოცი წლის განმავლობაში. ამ საკითხის გარშემო სასტიკი პოლემიკა იყო სოც. ფედ. მამათავარ არჩილსა და მენშევიკთა ლიდერს ჟორდანიას შორის, რომლის დროსაც მარქსისტულმა—მეშევიკურმა — სკოლამ საქართველოში ქედი მოიხარა არჩილის საღი ეროვნული პოლიტიკის წინაშე, მაგრამ მენშევიკები რის მენშევიკები იქნებოდნენ, თუ თავიანთ მარცხს აღიარებდნენ! ისინი „უცილობდნენ ვითა ჯორი".

დაჰკრა რევოლუციის ზარმა და ყველა პოლიტიკური პარტია შეუდგა თავის თეორიული მრწამსის პრაქტიკულად [illegible]. რუსეთის რევოლუციაში ეროვნულ მომენტს თავიდანვე დიდი ადგილი ეჭირა და საქ. სოც. ფედ. პარტიაც შეუდგა რევოლუციისაკენ სვლას ეროვნული გზით. მენშევიკებმა დაინახეს რა საფრთხე თავიანთ პარტიული ბატონობის საქართველოში, მომართეს ჩვენს წინააღმდეგ მთელი მათი სადემაგოგიო აპარატი. ამ მუშაობაში მენშევიკურ ახალგაზრდობას დიდი ღვაწლი მიუძღვის. ვის არ ახსოვს 1917 წ. მენშევიკთა ხელმძღვანელობით [illegible] ექსპედიციები ქუთაისის გუბერნიაში სოც. ფედ. წინააღმდეგ და შემდეგ მათი ლიდერის ე. გეგეჭკორის განცხადება ქუთაისის [illegible], ის ვერ დაივიწყებს [illegible] ვითომ „ჭეშმარიტ სოც. ეროვნული მოღვაწეობას".

მოგეხსენებათ მათმა დემაგოგიამ [illegible] პარტიას მიუსიეს მაშინ ჩვენს ქვეყანაში მდგომი რუსის ჯარის კაცები; უქადდნენ, რომ ფედერალისტებს რუსეთისაგან გამოყოფა, საკუთარი სახელმწიფოს დაარსება და თქვენი აქედან გარეკვა უნდოდათ. ასეთი დემაგოგიას მოყვა მთელ გუბერნიაში კლუბების მტვრევა და დროშების დატაცება. ქუთაისში ერთ-ერთ მიტინგზე ე. გეგეჭკორმა ვითომ და გაპროტესტებულ ჯარის კაცების დასაწყნარებლად—პილატისავით ხელი დაიბანა და რიხიანათ განაცხადა, რომ „ჩვენ—მენშევიკები—მთელი ხუთმეტი წლის განმავლობაში ვებრძვით ფედერალისტების ავტონომიის წინააღმდეგ და მთელს ჩვენ სიცოცხლეში ვებრძოლებით ამ ფრონტზე, მაგრამ არა იარაღით, არამედ სიტყვით, კალმით" ო. დიახ, ეს იყო ჩვიდმეტი წლის დასასრულს.

რუსეთში ბოლშევიკურ გადატრიალების და ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების პროცესში ეროვნულ საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე ნოე ჟორდანიამ განაცხადა, რომ საკითხი თუ დაისვა: რუსეთისაგან ჩამოშორება თუ ფედერაცია, მე ფედერაციის მომხრე ვიქნებიო. მაგრამ არ გასულა რამდენიმე თვე იმავ ჟორდანიამ და რუსეთის რევოლუციის მიერ მოსკოვიდან გამოდევნილმა ჩხეიძე წერეთელმა, პირველად მოაწერეს ხელი საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას, რომლის დროსაც წერეთელმა პათეთიურად განაცხადა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა არის არა პრინციპის, არამედ ტაქტიკის საქმე და თუ დადგება შესაფერი მომენტი ჩვენ პირველად გაუწვდით ხელს მოსკოვს: დიახ, მენშევიკებისათვის საქართველოს საკითხი მუდამ ტაქტიკის საკითხი იყო და არა პრინციპის, რაც მათ დაამტკიცეს მთელი თავის მოღვაწეობით. საქართველოს დამოუკიდებლობა, ეს მენშევიზმის დამოუკიდებლობა—მენშევიზმის [illegible]—იყო. მათ თვით არ სწამდათ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რაც მტკიცდება თუ გინდ იმ ფაქტით, რომ მათ ვერ შესძლეს სახელმწიფოებრივი აპარატის მოწყობა ღირსეულად დამოუკიდებელი რესპუბლიკისა. ბოლოს თუ გინდ ის ფაქტი, რომ საქართველოს დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ საბჭოთა რუსეთთან ომის დროს საქართველოს ვერ მისცა ოცი ათასი მეომარი, როდესაც რუსეთის თვითმპყრობელობამ რუსეთ-გერმანიის ომის დროს ორასი ათასი მეომარი მისტაცა. რაშია საქმე, რათ მოხდა ეს? ეს მოხდა მისთვის, რომ მენშევიკები საკუთარი მრწამსის წინააღმდეგ მუშაობდნენ, რადგან თვით არ ქონდათ რწმენა საქართველოს დამოუკიდებელი არსებობისა, ვერც შექმნეს ღირსეული სახელმწიფოებრივი აპარატი.

დღეს კი რას ვხედავთ? დღეს არ ერთი ახლო წარსულის მქონე პარტია საქართველოს დამოუკიდებლობის სინონიმათ ჩვენში ითვლება. მაგრამ ვინც იცნობს იმ მუშაობას, რომელსაც ეწევა ემიგრაციაში ქცეული მთავრობა ევროპაში, დამეთანხმება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა მათთვის დღესაც ისეთივე ტაქტიკის საკითხია, როგორიც 17—18 წლებში. ამისათვის ის ნაწილი ჩვენი ახალგაზრდობისა, რომელიც ჯერაც ვერ განშორებია მენშევიზმის გზას უნდა კარგად ჩაუკვირდეს მათ ახლო წარსულს, აწონ დასწონოს მათი ნამოღვაწევი და აირჩიოს ის გზა, რომელიც ქართველ მშრომელ ხალხს—ქართველ ერს—გამოიყვანს იმ ჩიხიდან, რომელშიაც დღეს იმყოფება. მაგრამ იზამს კი ამას მენშევიკური ფრაქციის ახალგაზრდობა?—ის ამას ვერ იზამს, რადგან ეს წილი ახალგაზრდობისა სავსებით იზიარებს რევოლუციის მიერ რევოლუციონური ფრონტიდან განდევნილი პარტიის პრინციპებსა და ტაქტიკას.

ა. გოგორიშვილი.

ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხი

„ორი საგანი უნდა დაიხატოს წინ მოსწავლე ახალგაზრდობამ: სოციალიზმი და ეროვნული თავისუფლება; შრომა და მშრომელი ხალხი, ერი და ეროვნება! აი თქვენი სათაყვანებელი საგანი, ამისათვის უნდა გასწიროთ თქვენი თავი, ამას უნდა უძღვნათ თქვენი უკანასკნელი სალამი".

პარიზის „საქართველო" 1904 წ.

ყოველ ორგანიზაციას განსაზღვრული მიზნები უნდა ქონდეს. ყოველი ორგანიზაცია განსაზღვრული იდეალებით უნდა ხელმძღვანელობდეს. ზოგიერთი ორგანიზაცია იცის ისტორიამ, დაწყობილი ადამიანთა კოოპერატიული თანამშრომლობით და გათავებული ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური საზოგადოებებით. ზოგი ორგანიზაცია იცის აგრეთვე ისტორიამ, რომლის არსებობას არავითარი რეზონი არქონია და სოციალური ცხოვრების განვითარებაში ისინი უმნიშვნელოდ დაღუპულან. ერთი ფაქტი კი თავის თავად რჩება, ყოველი ორგანიზაცია განსაზღვრული მიზნისაკენ ისწრაფვის, განსაკუთრებული იდეალებით ხელმძღვანელობს. როდესაც ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხს ვარჩევთ, უმთავრესად ჩვენ მხედველობაში გვაქვს პოლიტიკური მიზნების მატარებელი ორგანიზაცია.

ერთი მხრით შეუძლებლად უნდა იქნეს მიღებული ახალგაზრდათა ორგანიზაციის არსებობა. ჩვენ ვიცით, რომ სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრების ასპარეზზე მომქმედი, საზოგადოებრივი ძალების დამრაზმველი, ეკონომიური და სოციალური პოლიტიკის მწარმოებელი არის სოც.-პოლიტიკური მიმართულებანი, პარტიები. თავისი მხრით პოლიტიკური პარტიები იყრდნობიან საზოგადოებრივ წრეს, კლასსა თუ წოდებას და ისინი ხდებიან ამა თუ იმ საზოგადოებრივ წრის ინტერესთა მატარებელი, მისთვის მებრძოლი **) აქედან [illegible] გამომდინარეობს, რომ საზოგადოების ყოველი წრე, თავის ინტერესთა დამცველი პარტიის ფიზიკური საფუძველია და იგი ამ პარტიის სახით გამოდის პოლიტიკურ ბრძოლის ასპარეზზე. ამიტომ ყოველი პარტია არის საზოგადოების განსაზღვრული ნაწილის პოლიტიკის მატარებელი და აქედან აშკარაა, რომ შეუძლებელია ისეთი პოლიტიკური ორგანიზაციის არსებობა, რომელიც იქნება ზეკლასიური, ზეპარტიული და ამავე დროს პოლიტიკური.

სწორედ ამიტომ ბუნებრივად ისმის საკითხი: უნდა არსებობდეს თუ არა ახალგაზრდათა ორგანიზაცია? რა პოლიტიკური მიზნები შეიძლება ქონდეს მას? რა როლი უნდა შეასრულოს მან საზოგადოებრივ ძალთა ჭიდილში?

ვიდრე ამ საკითხს ვუპასუხებდეთ, საჭიროა პატარა ექსკურსია მოვახდინოთ ახალგაზრდათა ორგანიზაციის ისტორიიდან, გავითვალისწინოთ ახალგაზრდათა მოძრაობის როლი და გამოვარკვიოთ ის მიზეზები რაც ხელს უწყობდა ასეთი ტიპის ორგანიზაციის წარმოშობას.

ახალგაზრდათა მოძრაობა არ არის დიდი ისტორიის მქონე თავისი ხანგრძლივობით, მაგრამ იგი დიდი ისტორიის მქონეა თავისი სიღრმით და შინაარსით. საფრანგეთში ასეთი მოძრაობა მე 20 საუკუნის პირველი წლებიდან იწყება, რომელზედაც გავლენას ახდენს ჟორესისტული და ალემანისტური მიმართულება. საფრანგეთის ახალგაზრდათა მოძრაობის ცენტრი არის მისი სატახტო ქალაქი—პარიზი. ეს პრიორიტეტი პარიზს რჩება მაშინაც კი, როდესაც ახალგაზრდათა მოძრაობა შედარებით სუსტდება მთელ საფრანგეთში. განსაკუთრებული განვითარება ახალგაზრდათა ორგანიზაციებს წილად ხვდებათ ქალ. [illegible], რომელიც მთელი კამბრის ოლქს ჰფენს ახალგაზრდათა ორგანიზაციებით. მაგრამ 1907 წლამდე ორგანიზაციები სრულებით [illegible] და ახალგაზრდათა პირველი ინტერნაციონალის კონგრესზე საფრანგეთი ჩათვლილია უორგანიზაციო ქვეყნად.

მაგრამ იწყება ახალგაზრდათა მოძრაობის მეორე პერიოდი. ეს პერიოდი ანარქო-სინდიკალიზმისა და ერვეიზმის განვითარების ხანას უკავშირდება. „სენის ფედერაცია" (სოციალისტთა ორგანიზაცია) აარსებს ახალგაზრდათა ორგანიზაციას ცალკე სექციით, რომელშიაც 42 სექცია იწოდება. მაგრამ შემდეგ „სენის ფედერაციასა" და ახალგაზრდათა ორგანიზაციას შორის ხდება კონფლიქტი და პირველიც ძალზე ამცირებს უკანასკნელს.

ჩვენ ვიცით, რომ ახალგაზრდობა ვერ კმაყოფილდება გედისტური და ჟორესისტული მიმართულებათა ოპორტუნიზმით და იგი ერვეიზმის გავლენას ემორჩილება. [illegible] ხელს უწყობს ახალგაზრდათა ორგანიზაციების ზრდას და ცდილობს ახალგაზრდათა ამ მოძრაობის გაფართოებას. ერვეიზმი შეიტანა ახალგაზრდათა ფრანგის [illegible] ანტიმილიტარიზმი, მას ინტუზიაზმს და აგიტაციას. იგი მოითხოვს—ინტერნაციონალური ავანგარდის მიერ მუშათა კლასის შეიარაღებას რევოლუციის პროცესში. ამ მიზნის მისაღწევი საშუალება მისთვის არის უწესრიგობის მოხდენა ქუჩაში, სხვა და სხვა ტიპის ექსცესების, [illegible] მოწყობა და სხვა.

მაგრამ დროებით ახალგაზრდობა ერვეიზმის ფანატიზმს [illegible]. 1910 წლიდან ფეხს იდგამს უფრო გარკვეული და სერიოზული მიმართულება, ყალიბდება ორი ორგანიზაცია ერთი სოციალისტური „სოციალისტური ახალგაზრდობის" სახელწოდებით, ხოლო მეორე ანარქო-სინდიკალისტური „სინდიკალისტური ახალგაზრდათა" სახელწოდებით. „სოციალისტური ახალგაზრდობა" 1910—1912 წ—ში მოლაპარაკებას აწარმოებს პარტიასთან, რომ იგი შევიდეს მასში განსაზღვრული პირობით, რომელიც დამოუკიდებელ ორგანიზაციის ელფერს არ დააკარგვინებს, მაგრამ, როგორც გედისტური, ისე ჟორესისტული მიმართულება წინააღმდეგია ახალგაზრდათა დამოუკიდებელი ორგანიზაციის, მაგრამ საქმე ამით არ სრულდება. ახალგაზრდათა ორგანიზაციები გზას იკაფავს და პარტიები იძულებულია მას სათანადო ანგარიში გაუწიოს. ჟორესისტები გასტონ ლევის მეთაურობით იწყებენ ლაპარაკს ახალგაზრდათა ორგანიზაციებზე, გედისტები მარსელ კაშენის საშუალებით ცდილობენ მასზე იქონიონ გავლენა. მაგრამ პარტიები მაინც ვერ ურიგდებიან ახალგაზრდათა ორგანიზაციების არსებობას. ასეთი პირობები ხელს უშლის მოძრაობის განვითარებას, მაგრამ იგი ნელის ნაბიჯით მაინც ვითარდება.

1912 წ. სრულდება პარტიებთან მოლაპარაკება იმ პირობით, რომ ახალგაზრდებს 16 წელს ზევით ნება ეძლევათ პარტიულ ორგანიზაციებში მუშაობისა, ხოლო 16 წლისაზე უმცროსები ითვლებოდნენ ახალგაზრდათა ორგანიზაციის წევრებათ.

1913—1914 წ—ში გამოდის ახალგაზრდების ორგანო „სოციალისტური ახალგაზრდობა", რომელიც დიდ გავლენას ახდენს მშრომელ ახალგაზრდობაზე. ორგანოსთვის ერთი მხრით პარტია იღებს განსაზღვრულ თანხას, ხოლო მეორე მხრით ახალ. ორგანიზაციები საწევრო გადასახადის საშუალებით აგროვებს ფულს, თუმცა როგორც გ. ჩიჩერინი ამბობს იგი მეტად აძნელებდა მოძრაობის განვითარებას, რადგან ზოგიერთი ღარიბი ახალგაზრდათა ორგანიზაციის გარეშე რჩება საწევრო გადასახადის სიდიდის გამო.

ახალგაზრდების ნამდვილი დღესასწაულია მანიფესტაციებისა და გამოსვლების მოწყობა, მონარქისტებთან და პოლიციელებთან ჩხუბის ატეხა და სხვა.

საერთოდ ახალგაზრდათა ორგანიზაციამ მოქალაქეობა მიიღო და იგი ნახევრად დამოუკიდებელი ორგანიზაციის სახით შევიდა პარტიაში. მაგრამ იწყება ანტაგონიზმი პარტიის ლიდერებსა და ახალგაზრდებს შორის. ანტაგონიზმი იმდენათ ღრმავდება, რამდენადაც ახალგაზრდობა რევოლუციურად არის განწყობილი, ხოლო ლიდერები ოპორტუნისტულად. ჩვენ დაწვრილებით ვერ შევჩერდებით ამ ანტაგონიზმის განვითარებაზე, ვაჩვენებთ მხოლოდ, რომ ახალგაზრდობა წარმოადგენდა იმ ძალას პარტიაში, რომელიც იყო წმინდა სოციალისტური და რევოლუციური ცოცხალი ნაწილი, რომლის საუკეთესო ილუსტრაცია ომის გამოცხადებისას წითელი დროშით გამოსვლა იმ საფრანგეთში, სადაც შოვინისტური მასსა იარაღის ჟღარუნით ამაყობდა და სოციალისტური პარტიები კი თანხმობის ნიშნად ხმას არ იღებდა. მაშინვე ახალგაზრდობიდან აღსანიშნავია ფიგე სინდრასი, პონი, ორესტ კაპოსი, ბრიუნო ლონგე და სხვები.

ასეთი იყო მოკლედ ახალგაზრდათა მოძრაობის ფიზიონომია საფრანგეთში, მისი მიზნები და ბრძოლის მეთოდები. თუ საფრანგეთი ახალგაზრდათა მოძრაობისა განვითარებისათვის არ წარმოადგენდა ნოყიერ ნიადაგს, გერმანიის კიდევ უარესი იყო ამ მხრივ, სადაც კაპიტალისტური წყობილება, დესპოტიური სახელმწიფო და მკაცრი ოჯახური დისციპლინა ქმნიდა სულის შემხუთველ ატმოსფერას ახალ. მოძრაობისათვის. მაგრამ მიუხედავად მისა, 1903 წ. სამხ. გერმანიაში აღმოცენდა სოც. დემოკრატიული ახალგაზრდათა ორგანიზაცია. მეორე წლის ასეთივე ორგანიზაცია ჩრდილო-გერმ. ნიადაგზედაც დაარსდა. ახალგაზრდებს ჰქონდათ საკუთარი ბეჭდვითი ორგანოები, რომელიც რევოლუციური სულის კვეთებით ხასიათდებოდა. გ. ჩიჩერინი აღნიშნავს, რომ გარდა ნახევრად ლეგალური ორგანიზაციებისა არსებობდა წმინდა კონსპირატიული ჯგუფებიც, სადაც ახალგაზრდობა პოლიტიკურ საკითხთა გარკვევას ეწეოდა.

მაგრამ რამდენათ ვითარდება მოძრაობა, იმდენათ იწყება ბრძოლა მის წინააღმდეგ. პარტიის ლიდერები, პროფესიულ კავშირების ხელმძღვანელები გაჰკივიან ახალგაზრდათა ალაგმვაზედ და აღნიშნავენ, რომ ახ. მოძრაობით საფრთხეში ვარდება მუშათა მოძრაობა.

გერმანიის სოც.-დემოკრატიული პარტია თავის ყრილობებზე ყოველთვის უარყოფდა ლიბკნეხტის რეზოლუციას, რომელიც ილაშქრებდა მილიტარიზმის წინააღმდეგ და მოითხოვდა ახალგაზრდათა ორგანიზაციების გაძლიერებას.

1907 წ. ახალგაზრდათა ინტერნაციონალის შეკრებას, მის მუშაობას მთელი თავისი სიძლიერით ეწინააღმდეგებოდა გერმანიის სოც.-დემოკრატია, ხოლო 1908 წ. ბრძოლაში სახელმწიფოც ჩაერია და ცხადი გახდა ახალ. მოძრაობის ბედის გადაწყვეტა. იგი სრულებით გაანადგურეს.

დიდი იყო წინააღმდეგობა, როგორც დესპოტიური რეჟიმისა, აგრეთვე დესპოტიური სოც.-დემოკრატიისა და ასეთივე სახის პროფესიონალური მოძრაობის მესვეურთა, მაგრამ ყოველივე ეს კიდევ არ იყო გადამწყვეტი ფაქტორი ძლიერი ნებისყოფის მქონე კარლოს ლიბკნეხტისა და გერმანიის მოწინავე ახალგაზრდათა მიმართ. მუშაობა კვლავ განახლდა და დიდი ბრძოლის შემდეგ პარტიამ ანგარიში გაუწია ფაქტს და ახალგაზრდობისათვის ჟურნალიც კი გამოსცა, თუმცა არა სოციალისტური და რევოლუციური შინაარსის, არამედ უფრო „ჭკვის დამრიგებელი" პედაგოგიური სტატიებით.

ახალგაზრდობამ თავი მოიყარა მარქსისტული მიმართულების მემარცხენე ფრთასთან, რომლის წარმომადგენლები იყო კლარა ცეტკინი, კარლოს ლიბკნეხტი და დუნკერი. იწყება ხელ-ახალი ბრძოლა პარტიულ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ. ხელ-ახალი ანტაგონიზმი ახალგაზრდა ძალებსა და „მოხუც [illegible]" ლიდერებს შორის, მაგრამ ახალგაზრდობას ასუსტებს შემდეგი ბრძოლა. პარტია მასთან შედარებით ძლიერია და ისიც სარგებლობს თავისი სიძლიერით. ამ რიგად ომის დასაწყისს 1919 წ—ში პარტიის ახალგაზრდათა ორგანიზაციები მკაცრ დისციპლინაში არის ჩაყენებული. დარჩა მხოლოდ კარლ. ლიბკნეხტი რამდენიმე მოწინავე ახალგაზრდასთან ერთად, რომელიც სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა პარტიის პოზიციას, მის ოპორტუნისტულ ნაბიჯებს. მაგრამ კვლავ ნიადაგი მზადდება ახალ მოძრაობისათვის. პარტიის მიერ გამოცემული ორგანო „ახალგაზრდათა მუშა" ვერარავის აკმაყოფილებს. მისი პოზიცია პატრიოტული ჰანგების ჟღერით იწურება. ახალგაზრდობა სტოვებს მას და კარლ. ლიბკნეხტის მეთაურობით ახალ მოძრაობის ფერხულში ებმება. იკრიბება ახალ. ყრილობა, რომელიც გარკვეულ რევოლუციურ გზას ადგება და მიღებული რეზოლუციები საფუძვლად ედება მომავალი მუშაობისათვის, ყრილობა გადაჭრით აღიარებს კლასობრივი ბრძოლის გაჩაღებას, ინტერნაციონალის განახლებასა და უარყოფს სხვა ორგანიზაციათა კავშირს, თუ კი მისი მთავარი [illegible] არ იქნება შეთანხმების საფუძველი. იწყება არა ლეგალური მუშაობა, პროპაგანდა, ხალხში, ჯარში, ფლოტზე და ყველგან სადაც კი ამის შესაძლოება არსებობს.

ამ მუშაობას კვლავ ებრძვის ჩვენთვის ცნობილი მტერი სოც. დემოკრატია და მთავრობა. ახალი რეპრესიები, ახალი დევნა, [illegible], [illegible], ციხე და სახრჩობელა. ახალგაზრდა მოძრაობა სუსტდება და მისი ნაშთი შემდეგში დამოუკიდებლებს [illegible].

ნოემბრის რევოლუციის დროს, ახალგაზრდობის ნაწილი გამოდის ციხიდან და გერმანიის ახალგაზრდობა სოციალური რევოლუციის ნიადაგზე მედგრად იბრძვის სპარტაკელებთან ერთად. მათ დამარცხებას კიდევ ახალი მსხვერპლი მოჰყვება ახალგაზრდათა წრიდან, კიდევ დიდ ზარალს განიცდის ახალგაზრდა ძალები.

შემდეგი კონფერენცია ადასტურებს, რომ ახალგაზრდობა დაშორდა დამოუკიდებლებს და იგი კომუნისტურ ნიადაგზე დადგა.

გერმანიის ახალგაზრდობის მესვეურები იყვნენ კარლოს ლიბკნეხტი, კლარა ცეტკინა, დუნკერი, მარკს პიტერსი, მაშკე და სხვები, რომელთა მოღვაწეობამ დიდი როლი შეასრულა მუშათა მოძრაობაში.

ასეთი ეტაპები განიცადა ახალგაზრდათა მოძრაობამ გერმანიაში. იგი ყოველთვის დარაჯად უდგა სოციალიზმის საქმეს და რევოლუციის დროშით ხელში მიდიოდა სოციალიზმისაკენ.

ხერ. ამაღლობელი.

(შემდეგი იქნება)

---

*) ეს მოხსენება ავტორის მიერ წაკითხულია პარტიის პირველ ყრილობაზე. რედ.

**) რა თქმა უნდა პარტია არ არის წმინდა კლასობრივი ორგანიზაცია მინიატურაშიაც კი. პარტია გულისხმობს აზრთა ერთობას, კლასთა ინტერესთა ერთობას.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი

„ახალგაზრდათა ხმა"
გამოვა სამშაბათობით და პარასკევობით
წერილები გამოიგზავნება შემდეგი მისამართით—ტფილისი
„ტრიბუნის" რედაქცია; სასახლის ქ. № 6.
მასალები ერთ გვერდზე უნდა იყოს დაწერილი, აგრეთვე ზედ
უნდა იყოს წარწერა „ახალგაზრდათა ხმისათვის".

ტირაჟი 700 საქართვ. კომუნისტურ „პარტიის ალმ. კომიტ. სტამბა. კრუზენშტერნის ქუჩა, 4. ნ. ფ. ს. ც.